# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

№ 47 (5648)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## სააკაშვილმა ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა

12



## ვინ ბომბავდა აფხაზეთს?

## გამყრელიძეს „გაჩმახება“ მოენატრა

2



## ოღონდ გვეშველოს რამე და ნატოში კი არა, თუგინდ ჯოჯოხეთშიც შევიდეთ...

4

## ვეტერანებს მხოლოდ დეზერტირები არ უსმენენ



2

## მამარდაშვილმა ჩვენება შეცვალა

2

## „...და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა...“

5





● მამარდაშვილმა ბაჩო ახალაიასთან ალიანსი გამორიცხა. თუკი განსასჯელი ადრე ამბობდა, რომ ბუნტის ღამეს, 27 მარტს იგი ბაჩო ახალაიას კაბინეტში სცემეს, გუშინ, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მან ცემის ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ პატიმრები რესპუბლიკური საავადმყოფოდან მე-7 საპყრობილეში ცემის გარეშე გადაიყვანეს

◎ კანონმდებლები

# გამყრელიძეს „გაჩმახება“ მოენატრა

**გუშინ პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე ერთხმად მიიღო დეკლარაცია საქართველოს ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. დეკლარაციას თან ერთვის მემორანდუმი, რომელსაც ხელს ყველა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელი აწერს.**

**დეკლარაციის მიღების წინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა:**

„ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ, რომ არავის — არც ჩვენს მოყვარესა და არც ჩვენს არაკეთილმოსურნეს არ ჰქონდეს იმის ილუზია, რომ საქართველოში გამოჩნდება სერიოზული პოლიტიკური ძალა, რომელიც გადაუხვევს ან შეეცდება გადაუხვიოს იმ ძირითად მიზანს და არჩევანს, რომელიც ქართველმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ გააკეთა. საქართველოს მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. იმიტომ, რომ ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის ნიშნავს არა მარტო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, არამედ — სტაბილურობას და უსაფრთხოებას მთელ რეგიონში“.

კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა ოპოზიციონერმა დეპუტატმა — გოჩა ჯოჯუამ არ მიიღო. ბუნდოვანი იყო მისი განმარტება. სახელდობრ, მან თქვა, რომ ნატოში ინტეგრაციის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ამ ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობას ვერ აიღებს და ამიტომ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.



ნინო ბურჯანაძემ კოლეგებს აუწყა, რომ 15 მარტს, დღის მეორე ნახევარში პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წლიური ანგარიშით წარსდგება, იგი ილაპარაკებს განვლილ პერიოდსა და საქართველოს განვითარების მისეულ ხედვაზე.

შემოთავაზებული ფორმატი ოპოზიციას, კერძოდ, ახალი მემარჯვენეების ლიდერს დავით გამყრელიძეს არ მოეწონა. მან თქვა, რომ ოპოზიცია მოითხოვს, პრეზიდენტმა ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებს მოუსმინოს. „წელიწადში ერთხელ პრეზიდენტი ასეთი ანგარიშის დროს უსმენდა ოპოზიციურ ფრაქციებს, უსმენდა განსხვავებულ აზრს და შემდგომ, საჭიროების მიხედვით, აფასებდა ამ გამოსვლებს“, — განაცხადა მან და სინანული გამოთქვა, რომ „პრეზიდენტი და ხელისუფლება ოპოზიციასთან ღია ფორმით და საჯარო დიალოგს გაურბიან“. სავარაუდოა, ახალი მემარჯვენეების ლიდერს კვლავ „გაჩმახება“ მოუნდა, მაგრამ მეხსიერებას არც ხელისუფლება უჩივის. ბუნებრივია, ხელისუფლებას სურს, პრეზიდენტის წლიურმა ანგარიშმა ყოველგვარი პოლიტიკური აჟიოტაჟის გარეშე ჩაიაროს. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტისა და ოპოზიციური ფრაქციების შეხვედრა დღეს უკვე პრობლემა აღარ არის. მოგეხსენებათ, პრეზიდენტის ინიციატივით, ოპოზიციასთან ერთი ასეთი შეხვედრა უკვე შედგა. ნინო ბურჯანაძემ იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი კონსტრუქციული შეხვედრები გაგრძელდება. თქვა, რომ წლიური ანგარიშის დროს „რეგლამენტი შეზღუდულია და მხოლოდ მოსმენით შემოიფარგლება, პრეზიდენტს შეუძლია ფრაქციის ლიდერების გამოსვლას ტელევიზიითაც მოუსმინოს“.

„რა ფორმატით აირჩევს წლიური ანგარიშით გამოსვლას, საბოლოოდ, ეს მაინც პრეზიდენტის გადასაწყვეტია“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

პარლამენტში ლაპარაკობენ, რომ პრეზიდენტი ელოდება დეპუტატებისგან წერილობით წინადადებებს იმის შესახებ, თუ რისი მოსმენა სურთ მათ პრეზიდენტის წლიურ გამოსვლაში.

**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

# გადაფურთხებული ალოკა?!

## მამარდაშვილმა ჩვენება შეცვალა

**მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა განსასჯელმა პლატონ მამარდაშვილმა ჩვენება შეცვალა და ბაჩო ახალაიასთან ალიანსი არ დაადასტურა, მამარდაშვილის ოჯახის წევრებმა და მისმა ადვოკატმა სასამართლო პროცესზე შესვენება მოითხოვეს.**

მამარდაშვილის ოჯახის წევრები და ადვოკატები განმარტავენ, მოწამლულია ან ნარკოტიკული ნივთიერებები აქვს მიღებული და ჩვენება ამიტომ შეცვალაო.

მამარდაშვილმა განაცხადა, რომ 4 მარტს გადაცემა „დროებაში“ გასული აუდიოჩანაწერის შესახებ არაფერი იცის, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაღალჩინოსან დგებუაძეს, იგივე „მასტერას“ კი იცნობს.

„ის რამდენჯერმე მესტუმრა ქსნის კოლონიაში, თუმცა ვინ განახორციელა ეს აუდიოჩანაწერი და ვის ჰქონდა ჩამწერი აპარატურა, ამის შესახებ არაფერი ვიცი“, — აღნიშნა მან.

ამასთან, ადვოკატმა მოსამართლესთან იშუამდგომლა, რომ ჩანაწერი თან ჰქონდა და იგი მოესმინა მამარდაშვილს, თუმცა მამარდაშვილი ამ შუამდგომლობას არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ ჩანაწერი არ აინტერესებს.

მამარდაშვილმა ბაჩო ახალაიასთან ალიანსი გამორიცხა. თუკი განსასჯელი ადრე ამბობდა, რომ ბუნტის ღამეს, 27 მარტს იგი ბაჩო ახალაიას კაბინეტში სცემეს, გუშინ, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მან ცემის ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ პატიმრები რესპუბლიკური საავადმყოფოდან მე-7 საპყრობილეში ცემის გარეშე გადაიყვანეს.



### აფციაურმა დაცვაზე უარი განაცხადა

**ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პლატონ მამარდაშვილმა ჩვენება შეცვალა და, აფციაურის თქმით, არაადეკვატურად აღწერა მოვლენები.**

**დაცვაზე უარის თქმამდე კი, მან მოსამართლისგან პლატონ მამარდაშვილის სამედიცინო შემოწმება მოითხოვა და განმარტა, იგი ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებაო.**

**ლალი აფციაურს ეჭვი აქვს, რომ მას ფსიქოტროპული ნივთიერებები იმიტომ მიაღებინეს, რომ ჩვენება შეეცვალა.**

**ადვოკატი განმარტავს, რომ პლატონ მამარდაშვილის ჩვენება დასაჯერებელი არ არის, ვიდრე მისი ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობას დაადგენდნენ.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ აქცია

# ვეტერანებს მხოლოდ დეზერტირები არ უსმენენ

**აი, უკვე ვეტერანთა მერამდენე აქცია გაიმართა პარლამენტის შენობასთან, რომელთა მოთხოვნა ისევ და ისევ, უცვლელი იყო — გაუქმებული შეღავათების აღდგენა. მათ ხელისუფლებას ერთი თვის წინათ პეტიციითაც მიმართეს, რაზეც ყურიც არავის შეუბერტყავს.**

„მხოლოდ ულირს და ამორალურ ადამიანს შეუძლია ასე აბუჩად აიგდოს ვეტერანთა მოთხოვნები“, — განაცხადეს შეკრებილებმა.



სახალხო დამცველიც აქტიურადაა ჩაბმული ამ პროცესში. მან ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას სთხოვა გამოეკვლია, თუ რამდენად გაუარესდა ვეტერანთა სოციალური მდგომარეობა. ამ დასკვნის შემდეგ კი სოზარ სუბარი საკონსტიტუციო სარჩელის მომზადებას აპირებს. სარჩელს იგი სასამართლოში ვეტერანებთან ერთად წარადგენს და ვეტერანთა უფლებების დასაცავად ბრძოლა უკვე სამართლებრივად წარიმართება.

ვეტერანებმა და ორგანიზატორებმა პარლამენტის კედლებზე გააკრეს ლოზუნგები: „ვეტერანებს მხოლოდ დეზერტირები არ უსმენენ“; „ხელისუფლებას არ უყვარს ვეტერანები“; „სირცხვილი ასეთ ხელისუფლებას, ჩვენ მაინც გავიმარჯვებთ!!!“

ვეტერანთა უფლებების დამცველი ნიკა მახაშვილი ეჭვობს, რომ ხელისუფლება ამჯერად მაინც მიხედავს ამ დამსახურებულ ხალხს.

„რამდენიმე დღეში დახმარებისათვის ამერიკის საელჩოს მივმართავთ. იქნებ, გაგვიწიოს ხელისუფლებასთან შუამდგომლობა და დაარწმუნოს იმაში, რომ დიალოგზე წამოვიდნენ, რადგან პრობლემის გადაჭრა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სწორედ დიალოგით ხდება“, — ამბობს იგი.

აქციის მონაწილეებს „თანასწორობის ინსტიტუტი“ და პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონის“ ლიდერი პაატა დავითაია შეუერთდნენ და სრული თანადგომა აღუთქვეს.

**სოფიო გოგლიძე**

◎ უზნეობის ალლუმი

# პარლამენტი – „უკანონობისა და გარყვნილების კანონმდებელი“?!

**გუშინ პარლამენტთან „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ საპროტესტო აქცია გაიმართა მოთხოვნით, ბათილად ცნონ საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 29 დეკემბერს „მაუწყებლობის შესახებ“ მიღებულ კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები.**

აქციაზე ითქვა, რომ აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. გატარებული ცვლილებების შესაბამისად კი დაინტერესებული პირი მოკლებულია შესაძლებლობას მიმართოს სასამართლო ორგანოებს თუ მაუწყებელი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის რომელიმე ნორმას დაარღვევს. სახელდობრ, არასწორი ინფორმაციის შემცველი, ადამიანის ღირსების შეურაცხმყოფელი, ასევე, არასრულწლოვანებზე მავნე ზემოქმედების მქონე სიუჟეტებს გადასცემს.

„ეს ცვლილებები ანტიკონსტიტუციურია, რადგან მომხმარებლებს, ანუ მაყურებლებს გვართმევს უფლებას ჩვენი უფლებების დასაცავად სასამართლოს მივმართოთ. მაუწყებლის, ანუ თავად დამრღვევისთვის მიმართვის უფლებასღა გვიტოვებენ და მის „კეთილ ნებაზე“ იქნება დამოკიდებული ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ირღვევა ჩვენი კონსტიტუციური უფლება, ამიტომ სარჩელი შევვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოში მოთხოვნით, რომ ხსენებული დებულება ბათილად ცნონ. თუ სარჩელს არ დააკმაყოფილებენ, მაშინ ევროპის სასამართლოში ვიჩივლებთ და, ვიმედოვნებთ, რომ გავიმარჯვებთ.

დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტში უმრავლესობასაც არ მოსწონს ეს ცვლილებები და დამატებები, მაგრამ ვერაფერს ამბობენ, რადგან მთელი ძალაუფლება ერთ-ორ ადამიანს აქვს ხელში ჩაგდებული. ბევრი არ ეთანხმება პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას, რადგან იცის, რომ მომავალ თაობას ეს სიკეთეს არ მოუტანს“, — განაცხადა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ თანათავმჯდომარემ ავთანდილ უნგიაძემ.

მიღებულია ცვლილებები „არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის“ კანონშიც. იქიდან ამოღებულია III თავი, რომელიც მოზარდებს მავნე ზემოქმედების უხამსი გადაცემებისა და ნაბეჭდი პროდუქციისგან იცავდა, რითაც აშკარად შელახულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-17 მუხლის მოთხოვნები.

„ამ აქციას სერიოზულად მივიჩნევ და ამიტომაც ვარ აქ. უნდა დავიცვათ ჩვენი და ჩვენი შვილების უფლებები. მინდა, ჩემი შვილი ნორმალური, ღვთისნიერი, ღვთისმოსავი იყოს. მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ და ჩვენი მსოფლმხედველობა მართლმადიდებლობაა. ტელევიზორს ხშირად ვერც ვუყურებ, რადგან საშინელ გარყვნილობებს გვიჩვენებენ.

ჩვენ უფლება არა გვაქვს ამ უსინდისობას და უნამუსობას შევეგუოთ, რადგან ადამიანებმა თუ სინდისი დავკარგეთ, ვინ ვიქნებით მაშინ? სინდისი არის ჩვენი მაცოცხლებელი და ღვთისკენ მიმავალი წმინდა მარცვალი“, — აღნიშნა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრმა ნინო მიქანაძემ.

**მაია ხორგუაშვილი**

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

● იპოდრომის გასხვისება სერიოზული კანონდარღვევა. ამ ტერიტორიას პარკის სტატუსი აქვს მინიჭებული, ხოლო პარკების გაყიდვა საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია



ეკოლოგია

# იპოდრომის გაყიდვის შემდეგ თბილისი გაზის კამერას დაემსგავსება?!

## იპოდრომის გაყიდვის შემდეგ საბურთალოზე ფილტვისა და სისხლისმიერი დაავადებების რიცხვი გაიზრდება?!

*დედაქალაქის მწვანე ზოლს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თბილისის მოსახლეობისათვის. ქალაქი ისედაც ქვაბულში მდებარეობს. ამას თან ერთვის უხარისხო ბენზინითა და ათასგვარი გამონაბოლქვით მოწამლული ჰაერი, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამიტომ, გასაგებია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრთა შეშფოთება იპოდრომის გასხვისების გამო. მათ ამ საკითხზე სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს და უამრავ მტკივნეულ საკითხზე გაამახვილეს ყურადღება:*



**ლაშა ჩხარტიშვილი, „თანასწორობის ინსტიტუტი“:** არ შევწყვეტთ ბრძოლას იპოდრომისა და თბილისის ეკოლოგიური გარემოს გადასარჩენად. ეს ბრძოლა, შეიძლება ითქვას, სწორედ ახლა იწყება. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა პროტესტი, რასაც ერთი თვის მანძილზე გამოვთქვამდით სხვადასხვა ფორმით. იპოდრომის გასხვისებით თბილისს მოაკლდება მნიშვნელოვანი სავენტილაციო არხი, რასაც ვერეს ხეობა და მისი მიმდებარე მწვანე ზოლი, ქმნის. გამწვანებული ტერიტორიები შემოსული ჰაერის მასებს ჟანგბადით აჯერებენ, რაც ესოდენ აუცილებელია მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

ვაპირებთ, სარჩელი შევიტანოთ ეკონომიკის სამინისტროს უკანონო გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ქვეყანაში არის უამრავი ნორმატიული აქტი, ბაღებისა და პარკების გასხვისებას და მათ განაშენიანებას რომ კრძალავს. იპოდრომის ტერიტორიას კი უეჭველი განაშენიანება ემუქრება: მისი გაყიდვის შემდეგ, ინვესტორს ერთადერთი ვალდებულება ეკისრება – 4 წლის მანძილზე ააშენოს ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი იპოდრომი. ეს პირობა ან შესრულდება, ან – არა.

იპოდრომს ისტორიული, კულტურული და, რაც მთავარია, – სანიტარიული დატვირთვა აქვს. სააკაშვილის ხელისუფლებამ გადააჭარბა თავის წინამორბედს, რომელმაც „ჟოკეი კლუბს“ იპოდრომის ტერიტორიის 25 ჰექტარი მიჰყიდა მისი განვითარებისა და კეთილმოწყობის პირობით. მართალია, ეს პირობა არ შესრულდა, მაგრამ არც იპოდრომი განაშენიანებულა მთლიანად სულ რამდენიმე კორპუსი აშენდა.

იპოდრომის გასხვისება სერიოზული კანონდარღვევა. ამ ტერიტორიას პარკის სტატუსი აქვს მინიჭებული, ხოლო პარკების გაყიდვა საქართველოს კონსტიტუციით აკრძალულია. იგივე ხდება „მზიურშიც“. ჩვენს თვალწინ გაქრა გალაკტიონ ტაბიძის ძეგლთან მდებარე სკვერი. იგივე ემუქრება ვერის ბაღსა და უნივერსიტეტის მიმდებარე სკვერსაც, ორთაჭალის ავტოსადგურთან მდებარე ბაღს და ა.შ... შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ ომი გამოუცხადა თბილისის მოსახლეობას: რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანს ტყვიას ესვრიან, თუ სიცოცხლის 10, 20, ან 30 წელს მოაკლებენ?!

**ლადო ვარდოსანიძე, არქიტექტორ-ურბანისტი:** თბილისის განვითარების ფონზე ვხედავთ ერთ მეტად არასასურველ, შეიძლება ითქვას, დრამატულ პროცესს – ე.წ. საზოგადოებრივი სივრცეების პრივატიზებას. საზოგადოებრივი სივრცეა ბაღი, პარკი, ქუჩა, მოედანი. ადრე ამ კატეგორიის სივრცეების გაყიდვა წარმოუდგენელი იყო. დღეს მოედნების ნაწილსაც კი ჰყიდიან. აგერ, სასტუმრო „აჭარის“ წინ მდებარე მოედანი. არ შეიძლება თბილისის ახალგაზრდა, „რაინდალეულმა“ ხელისუფლებამ არ იცოდეს, რომ თანამედროვე ურბანისტიკის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი ქალაქის დაგეგმარების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, ანუ მოსახლეობის აზრის გათვალისწინებაა. რატომღაც, ჩვენში გაბატონებულია აზრი, რომ კაპიტალთან, დიდ ფულთან შერკინება შეუძლებელია. ნამდვილად კი ასე არ არის – კაპიტალი მართლა კარნახობს ქალაქის განვითარებას იქ, სადაც ხელისუფლება ან უძლურია, ან ყურადღებას არ აქცევს მოსახლეობის ინტერესებს.

**ირინა ფუტკარაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ თავმჯდომარე:** ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ, რომ ამ მწვანე ხეობის გაყიდვით ევროსაბჭოს მიერ დეკლარირებულ უფლებას არღვევს, სადაც აღნიშნულია, რომ ავადობის პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში აქტიურად უნდა იყოს ჩართული სახელმწიფო. მოგეხსენებათ, საქართველოში, განსაკუთრებით კი, დედაქალაქში ამ თვალსაზრისით მძიმე ფონია. უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ იპოდრომი გაიყიდა, საბურთალოს რაიონში სისხლისმიერი და ფილტვისმიერი დაავადებები გაიზრდება. ეს ერთბაშად არ მოხდება, მაგრამ წლების შემდეგ მწვანე საფარის გასხვისებით გამოწვეული მძიმე შედეგი თვალნათელი გახდება: საბურთალო ისევე არასასურველი გახდება ეკოლოგიური თვალსაზრისით, როგორიც დღეს, მაგალითად, ალმაშენებლის პროსპექტის რაიონია.

**ითქვა, რომ, თუ 2003 წლის მონაცემების მიხედვით თბილისი ყველაზე დაბინძურებული ქალაქი იყო ევროპაში, იპოდრომის გასხვისების შემდეგ, ის მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებულ ქალაქიც გახდება...**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

კონფლიქტის ზონა

# დაზიანებული შენობები უმოკლეს დროში აღდგება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე ზემო აფხაზეთში განვითარებული მოვლენების თაობაზე კომენტარი გააკეთა.

– დაბომბვის შედეგად რამდენიმე შენობა დაზიანდა. მათ შორის აფხაზეთის მთავრობის შენობა ჩხალთაში. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ დაზიანებული შენობები უმოკლეს დროში აღადგინოს. პრეზიდენტისაგან მიღებული გვაქვს დავალება, რათა სახელმწიფომ სწრაფად დაიწყოს შენობების რეაბილიტაცია. რაც შეიძლება მალე უნდა ჩამოყალიბდეს სამშენებლო გეგმა და აღდგენითი სამუშაოები დავიწყოთ, – განაცხადა ნოღაიდელმა.

მისივე თქმით, მთავრობის შენობის მეორე ნაწილში ახალაღდგენილი სკოლაა განთავსებული. ხელისუფლება მის აღდგენას უპირველეს მნიშვნელობას მიანიჭებს.

# საკადრისი პასუხი გაეცემათ!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, გუშინწინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან კონსტრუქციული საუბარი ჰქონდა.

– ჩემ რუს კოლეგას საკუთარი მოსაზრებები გავაცანი. საუბრისას შევჯერდით, რომ რაც შეიძლება მალე უნდა დასულდეს გამოძიება. ნათელია, რომ პროვოკაცია იყო. ჩვენ ყველანი, კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული ნებისმიერი მხარე, რეგიონის განვითარებით უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი, – განაცხადა სახელმწიფო კანცელარიაში ბეჟუაშვილმა.

მისივე თქმით, რუს კოლეგასთან შეთანხმდა, რომ გაეროს მოკვლევის ჯგუფის გამოძიების დასრულების შემდეგ, ყველას საკადრისი პასუხი გაეცემა, ვინც კი ამ პროვოკაციაში იყო ჩართული.

– გუშინ ევროპელ კოლეგებსაც ვესაუბრე, ასევე ევროკავშირის წარმომადგენლებსაც და მათთან კვლავ მექნება სატელეფონო საუბარი. ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შეიქმნას ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი, თუ რა ხდება რეალურად საქართველოში და კონკრეტულად – ზემო აფხაზეთში, – განაცხადა მან.

**ჯი-ეიჩ-ენი**



№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

აქტუალური თემა

# ნატოში გაწევრება ჩვენი საერთო ეროვნული პრიორიტეტია

**ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდამჭერ დეკლარაციაზე საპარლამენტო ფრაქციებისა და პარტიების თავმჯდომარეთა ხელისმოწერის ცერემონიალზე ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ზემო აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ფონზე დოკუმენტი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მართლაც, ზემო აფხაზეთის ასე მოულოდნელად დაბომბვამ, რაც, ეჭვგარეშეა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიერ არის ინსპირებული, კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რა აუცილებელია ნატოში ინტეგრირება. საქართველოსთვის ამ უაღრესად საჭირო დოკუმენტს პარლამენტის ცხრავე ფრაქციის ხელმძღვანელმა ხელი ერთსულოვნად მოაწერა.**



„ჩვენნაირი პრობლემა ესტონეთსაც ჰქონდა. ნატოში შესულს კი რუსეთი ვეღარ უბედავს იმას, რასაც ამ პატარა ქვეყანას უბედავდა. ასევე იქნება საქართველოს შემთხვევაშიც. ნატო მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყნების სამხედრო ალიანსია. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში საქართველოს მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფოები დაეხმარებიან, ისევე, როგორც მოიქცეოდნენ ნიუიორკს, რომს ან ბერლინს რომ დასხმოდა ვინმე“, – მიაჩნია პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს. ეს არგუმენტი საპარლამენტო ოპოზიციისთვის საკამათო არ არის. ის იზიარებს საქართველოს ნატოში გაწევრიანების აუცილებლობას და აცხადებს, რომ ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია.

დეკლარაციაზე შეთანხმებას უმრავლესობამ და ოპოზიციამ 8 მარტს მიაღწია. მსგავსი დოკუმენტი ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც მიიღეს. პარლამენტში აცხადებენ, რომ ამ დოკუმენტის ძირითადი მიზანი პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა და გარეშე ძალების იმაში დარწმუნებაა, რომ საქართველოში იმდენად ძლიერია ნატოში შესვლის სურვილი, რომ ხელის შეშლის არანაირ მცდელობას აზრი არა აქვს.

არასაპარლამენტო პარტიების მემორანდუმზე ხელმოწერა გათვალისწინებული არ არის, რადგანაც ეს დოკუმენტი პარლამენტშია მიღებული. თუმცა ითქვა, რომ პარლამენტს მიღმა პარტიებს შეუძლიათ პრესკონფერენციები გამართონ და მემორანდუმს სიტყვიერად შეუერთდნენ.

დოკუმენტი გამოქვეყნდება პრესაში, გაეგზავნება მეგობარი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს. პარლამენტში აცხადებენ, რომ ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს მეგობრებისა და მტრებისთვის, რომ ნატოში გაწევრიანება ჩვენი საერთო ეროვნული პრიორიტეტია და ვერანაირი პრობლემა ამ გზიდან ვერ გადაგვახვევინებს.

**მზია გელენავა**

# ღვთის ანაბარად

**სტატისტიკის თანახმად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამჟამინდელ საქართველოში, როგორც არასოდეს, ისე ხანმოკლეა. სულ 69 წელიწადი. ესეც თუ ღმერთმა ინება. დავყურებ ამ საბედისწერო ციფრს და გონებიდან არ გამომდის მომაკვდავ ერთა ის საშინელი სია, სადაც საქართველოს ერთ-ერთი „საპატიო“ ადგილი უჭირავს.**



**ჭირი დანახული ჯობს**

## ოღონდ გვეშველოს რამე და ნატოში კი არა, თუგინდ ჯოჯოხეთშიც შევიდეთ...

*თავისუფლების მოპოვება თუ ძვირი დაგვიჯდა, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ნაყალბევი არ შემოგვაჩეჩეს.*

*თბილისის მეტროში გაგონილი*

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

ამას წინათ ჩვენს თავისუფლების მოედანზე, თბილისში, ერთ ნაცნობ კინოოპერატორს გადავეყარე, უკვე ხანდაზმულს, მიმხცოვნებულს, შეღავათებწართმეულ პენსიონერებს პარლამენტის წინ შეკრება გვქონდაო, მთელი ორი საათი ვიბუზღუნეთ, რაც შეგვეძლო, ხან ვიყვირეთ კიდეც, მაგრამ არავინაც არ გამოგვაკითხაო.

— ნუ გამოგვაკითხავენ, — განაგრძო ჩემმა ძველმა ნაცნობმა. — ოღონდ ვიღაცის ენა-პირით ის მაინც გვითხრან, კანონი, რომელიც თავადვე მიიღეს და ჩვენ გვეხება, რატომ არ სრულდება. არა მგონია, რომ ორპარასკევდარჩენილ ღვაწლმოსილ ხალხს სადმე ასეთნაირად ექცეოდნენ. გულგრილად, აგდებულად.

— ვერ გაიგონე, ახლახან რა დონეზე ითქვა, თავისუფლება ძვირი ღირსო, უნდა მოვითმინოთო, ერთხელაც იქნება, გავფონავთო.

— ბოლო ლამის ჩვიდმეტი წელიწადი სულ ეგ გვესმის. ფონი ჩვენთვის არა ჩანს, თორემ ბევრისთვის ფონიც დიდი ხანია, რაც გამოჩნდა და ფსონიც. აცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო, ჩვენი საქმე სწორედ ისეა.

— ნუ გეშინია, ჩემო ერეკლე, ევროპაც მხარს გვიჭერს და ამერიკაც. მალე ნატოში შევალთ და აი ნახავ, თუ არ გვეშველოს. რუსთაველი, ხომ გახსოვს, რას ამბობს, მაგრამ ღმერთი არ გაგვწირავსო.

— ოღონდ გვეშველოს რამე და ნატოში კი არა, თუგინდ ჯოჯოხეთშიც შევიდეთ... თუმცა, ჯოჯოხეთში რაღა უნდა შევიდეთ, როცა უკვე კარგა ხანია, რაც იქა ვართ. თანაც ცოცხლად...

და წამომაგონდა ერთი დიდი მეოცესაუკუნელი ევროპელი ბრძენკაცის, „უმუშევრობის ნევროზის“ თეორიის ავტორის ნათქვამი: თავისუფლება, თუკი ის წილნაყარი არ არის პასუხისმგებლობასთან, ჩვეულებრივ განუკითხაობად იქცევაო, და ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოსავლეთ სანაპიროზე დადგმული თავისუფლების ქანდაკება დასავლეთ სანაპიროზე აღმართული პასუხისმგებლობის ქანდაკებით უნდა შეივსოსო. ამ სიტყვების სიმართლესა და სიბრძნეში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი აგერ ახლა, როცა პრეზიდენტი ბუში, რომელსაც არცთუ მაინცდამაინც „ეტრფიან“ თავის ქვეყანაში, ხალხისთვის ზრუნვის პროგრამით სტუმრობს ლათინურ ამერიკაში, სადაც ის პოლიტიკურ ლეშად მონათლეს და თვალწინ უწვავენ საკუთარ სურათებს.

მაგრამ, საბედნიეროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს ჭეშმარიტად დიდი პრეზიდენტებიც განაგებდნენ, რომელთაც დიახაც თავისუფლებასთან წილნაყარი პასუხისმგებლობით შეეძლოთ სახელმწიფოს მართვა, ხალხთან ჭირისუფლური ურთიერთობა, რასაც მუდამ ეკონომიკური აღმავლობა მოსდევს, ურომლისოდაც შეუძლებელია საყოველთაო სიღატაკით დაბინძურებული „თავისუფლების ჰაერით“ სუნთქვა. თავისუფლებას მაშინ აღევს ფასი, როდესაც ამ „თავისუფლების ჰაერს“ სახელმწიფოში ყველა მეტ-ნაკლებად თანაბრად გრძნობს. ამიტომაც იგონებენ დღეს ასე ხშირად ამერიკელები პრეზიდენტ რუზველტს და 1928-1935 წლების რუზველტისეულ რეფორმებს, რომელთაც ის ახორციელებდა ჯერ როგორც ნიუ-იორკის გუბერნატორი, ხოლო შემდეგ როგორც ქვეყნის პრეზიდენტი. ნამდვილად მრავლისმთქმელია რუზველტის იმდროინდელი სიტყვები: არც ერთ ერს არ შეუძლია არსებობა, თუ ნახევრად გაკოტრებულიაო...

გაჭირვებულ მოქალაქეთათვის სახელმწიფოსაგან დახმარებასა და ხელის აპყრობაზე რომ ლაპარაკობდა, რუზველტი ყოველთვის უსაკუთრესად, ანუ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს შეწევნა თუ დახმარება მოწყალების სახით კი არ უნდა იყოს გამოხატული, არამედ ხელისუფლების მიერ თავისი საზოგადოებრივი მოვალეობის აღსრულების წესითა და რიგით. როგორც ქვეყნის ჭირისუფალი პრეზიდენტი ამ წესსა და რიგს ის გაჭირვებაში ჩავარდნილთათვის სხვათა ნასუფრალის მიწოდებაში ან სამოწყალო დაპურებაში კი არ ხედავდა, არამედ მოსახლეობის და უპირველესად ახალგაზრდობის რეალურ დატვირთვაში, სულ ახალ და ახალ სამუშაო ადგილებში. ერთი სიტყვით, უქონელთ და ულუკმაპუროდ დარჩენილთ დროდადრო სამადლოდ შემწვარ თევზს კი არ უგზავნიდა, პირიქით, ზოგს ბადით, ზოგსაც ანკესით ამარაგებდა და თევზაობის პირობებს უქმნიდა. ამას რა გაგებითაც ვამბობ, გამგები გაიგებს.

და საერთოდ ამას სულაც იმიტომ არა ვწერ, რომ ავდგეთ და ვინმეს მექანიკურად წავბაძოთ, რაც ძირშივე არასწორია. ამას უფრო იმიტომ ვწერ, რომ როგორც „შტატებში“, ისე სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სამათხოვროდ ხელგაწვდილებმა კი არ ვიაროთ, იქნებ სამოწყალოდ რამე გადმოგვიგდონო, არამედ უწინარესად უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ახერხებენ ზოგ-ზოგნი თავისუფლებასთან პასუხისმგებლობის შერწყმას, რასაც ხელისუფლების სულიერი ამაღლება მისდევს, ამ ამაღლებას კი — ქვეყნის საერთო ეკონომიკური და ზნეობრივი აღმავლობა, ურომლისოდაც ერს ნამდვილად არ უწერია არსებობა, რადგან ნახევრად გაკოტრებულს „ჩალით დახურულ“ ქვეყანაში უწევს ცხოვრება, რასაც დიდი დღე არა აქვს.

რასაკვირველია, ძალიან კარგია, როცა ტელევიზიით ვხედავთ, რა დონეზე ილებენ ჩვენს უთუოდ ჩაუქ პრეზიდენტს აღმავალი მზის ქვეყანაში. იაპონიის იმპერატორი ეგრე წარამარა ყველას როდი ულებს თავისი სრასახლის კარებს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ვისწავლოთ იაპონელთაგან, თუ როგორ აქციეს საკუთარი ნედლეულის უქონლობა ფსიქოლოგიურ ფაქტორად, რამაც აგრერიგად შეუწყო ხელი იაპონელ ერს, რომ უსწრაფესი ნახტომი მოეხდინა ეკონომიკაში (პრეზიდენტის ამალაში სახელმწიფო მინისტრი კ.ბენდუქიძეც ჩანდა. ღმერთმა ქნას, რომ აქეთობისას თვითმფრინავში უძილობის ხარჯზე და, რაც მთავარია, იაპონური ეკონომიკის ზეგავლენით გადახედოს თავის არცთუ მაინცდამაინც ეროვნულ „ეკონომიკურ შეხედულებებს“!ძ.

აი ამ გზით თუ არ ვივლით, ანუ ჩვენს დამოუკიდებელ ეროვნულ ეკონომიკას თუ არ შევქმნით, და, მარტო „ესეც გავყიდოთ, ისიც გავყიდოთ“ იქნება ჩვენი მთავარი ეკონომიკური დევიზი, ნამდვილად არა ნახევრად, არამედ ბოლოს და ბოლოს სრულად გაკოტრებული ერი და ჩამავალი მზის ქვეყანა ვიქნებით. და იქნებ სწორედ ამიტომაც შეგვიყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ „მომაკვდავ ერთა სიაში“. მომაკვდავ ერს კი, როგორც მომაკვდავ ადამიანს, სასწრაფო მკურნალობა ეჭირვება, თანაც, როგორც იტყვიან, გადამჭრელი ღონისძიებებით. მერედა, განა არის კი ვინმე ჩვენს თვალსაწიერში ისეთი უებრო მკურნალი, ვინც მართლაც უსწრაფესად მიგვახედვინებს ჩვენი სულთმობრძავი ეკონომიკისათვის და დღენიადაგ მარტო პოლიტიკურ ჟონგლიორობას არ გადაგვაყოლებს?!

არადა უკვე ქრონიკულმა სიღარიბემ, უფრო სწორად, სიღატაკემ და თვალადსაჩენმა სოციალურმა უთანასწორობამ ჩვენი ხალხის უდიდესი ნაწილისთვის, როგორც ახალგაზრდობისთვის, ისე განსაკუთრებით უფროსი თაობისთვის, ანუ, დღევანდელი სახელისუფლებლო შეხედულებით, დღემოჭმულთათვის, ქვეყანა ნამდვილად ავ დედინაცვლად აქცია, რომელმაც კიდევ უფრო დაყმიდა და დაამშია ისედაც ლუკმანატრული ბერი ზაქარია, ვისთვისაც ცივი მჭადიც კი მართლაც სანატრელი შაქარია. იმაზე საშინელი და სამარცხვინო კი, ალბათ, არაფერია, როცა საკუთარ ქვეყანაში, რომელსაც მთელი ეს უბარაქო წუთისოფელი ერთგულად ემსახურე, სიცოცხლის მიწურულს თავს მშიერ გერად იგრძნობ, თანაც დამცირებულ და დაჩაგრულ გერად.

რასაკვირველია, ძალიან კარგია, რომ ბეზი ევროპისკენ ავილეთ და ბევრ რამეში ვითომ ვბაძავთ კიდეც ( ყოველ შემთხვევაში, ევროპელები ვართო, ხომ გავყვირით!ძ, მაგრამ, აბა, ნახეთ, რა მდგომარეობაშია იქ ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი უფროსი თაობა. ევროპაში ქვეყანას ვერ ნახავთ, სადაც განსაზღვრული არ იყოს სასტაჟო სტანდარტი (ყველგან 25 წელიწადია, მხოლოდ საფრანგეთშია 37,5 წელიწადიძ, ოღონდ პრინციპი ერთია: თუ მეტი იშრომე, ცხადია, პენსიაც მეტი უნდა მიიღო. გერმანიაში, მაგალითად, საპენსიო სისტემა თაობათა სოლიდარობის პრინციპზეა დამყარებული: მშრომელი მოსახლეობა ინახავს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც რაიმე დაავადებისა თუ სიბერისა გამო აღარ მუშაობს, და ვისაც ხელფასი თვეში 3900 ევროზე ნაკლები ჰქონდა, სახელმწიფო პენსია ენიშნებათ — ქალებს 500 ევრომდე, ხოლო კაცებს — 1000 ევრომდე (ქალი ევროპის შუაგულშიც რატომღაც მაინც „დაჩაგრული“ ჩანს!ძ.

ამაზე ფიქრი ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ფანტასტიკა და ათას ერთი ღამის ზღაპარია, და, ალბათ, ბევრი სიტყვასაც გამიტრიზავებს, შე დალოცვილო, რაღა გერმანიას ედრებიო, მაგრამ იმაზე რაღას იტყვის ჩვენი საპენსიო ფონდი, რომ აგერ პოლონეთში, სადაც გუშინ აგრეთვე სოციალიზმი იყო, პენსია 200 დოლარია. როგორ შეიძლება პენსიების ეგრე ალაალა გაზრდა, იმ წუთას ინფლაციას გამოიწვევსო, უმალ გამოჩნდებიან სახელმწიფოს „დამცველები“ და ვაიპატრიოტები, რომელთაც როგორც იტყვიან, ჯიბეები დასკდომაზე აქვთ. არა, ისე, საკითხავი კია: თუ ევროპის სხვა ქვეყნებში, თუნდაც პოლონეთში, მოხუცები არ იწვევენ ამ ინფლაციას თუ რაღაც ოხრობაა, რატომ მაინცდამაინც ჩვენებური მოხუცები გამოიწვევენ?! დასკვნა მხოლოდ ერთია: არც გული გულობს და არც ქადა იჭმევა ორი ხელით, ანუ ყველას სამყოფი ფული სად არის, ჯერ ჩვენ, თქვენ კი მოითმინეთო, შეღავათების მოთხოვნასაც შეეშვითო. რაღა ბევრი გავაგრძელო, ნაკლები ჭამეთ, მეტი იმოძრავეთო, ოღონდ ფეხით, ჯანმრთელობას უხდებაო. დაახლოებით ისევე, როგორც მწეველებზე ზრუნავს ჩვენი ჯანმრთელობის სამინისტრო: მოწევა თქვენი ჯანმრთელობისათვის მავნეაო. რას ვერჩით, ესეც ხომ თავისებური ზრუნვაა!

დღეს საქართველოში ხშირად გაიგონებთ, აბა, როგორ გინდათ, ზოგი ღარიბი იქნება, ზოგი მდიდარიო. შურიანობა, სხვისი ფულის თვლა და გაუთავებელი წუწუნი ძალიან ცუდი თვისებააო. ეგრე სახელმწიფო არ აშენდებაო. კი, ბატონო, ეგრე სახელმწიფო მართლა არ აშენდება და წუწუნიც ძალიან ცუდი თვისებაა, მაგრამ ბოლო დროს ამ წყალსაც ისეთი ფასი დაადეს, რომ პირში დაგუბებაც უკვე კარგა გვარიანად ძვირი ჯდება.

ეგრეთ წოდებული „სახელმწიფო პატრიოტიზმი“ თუ გუშინ ჩვენგან „დამკვრელურ შრომასა“ და ქვეყნისთვის თავგანწირვას ითხოვდა, დღეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამესღა ითხოვს — ქამრის მაგრად მოჭერას და მოთმენას, აგრეთვე რაც შეიძლება ნაკლებ წუწუნს, ისევ მოთმინების ხარჯზე. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ეს „სახელმწიფო პატრიოტიზმი“, სამწუხაროდ და სავალალოდ, რა დასამალია და, უქონელთა და ჯიბეგახვრეტილთა თვალში თვითონ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ცნებათა ინფლაცია-დაფოლებას, ანუ გაუფასურებას იწვევს.

და ამ დროს ეს უქონელი თუ ჯიბეგახვრეტილი ქართველი, რომელსაც, ბევრ ხელმოკლე საქართველოელთან ერთად, ცხოვრება პატიოსან შრომაში შემოაღამდა, თავისი ადამის ჟამინდელი ძველი ტელევიზორის ეკრანზე თითქმის ყოველდღე ხედავს, როგორ ნებივრობენ გუდაურსა და ბაკურიანში თუ სადმე ევროპის „ნარუქ“ კურორტებზე უზომოდ გაზულუქებულ-გაყვინიზებული ჩვენებურები, რომელთა შორის ხან რომელიმე მინისტრი ჩანს და ხან — რომელიმე პარლამენტარი. ბიზნესმენებზე აღარას ვამბობთ, ღმერთმა სუყველას ხელი მოუმართოს... და კიდევ კარგი, თვიდან თვემდე ძლივს ერთი კვირის სამყოფი პენსიის შემყურე მოხუცს თვალზე ცრემლი ადგება, რომელიც სულ ერთიანად უბინდავს ძველი ტელევიზორის ისედაც დაბინდულ ეკრანს...

სტატისტიკის თანახმად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამჟამინდელ საქართველოში, როგორც არასოდეს, ისე ხანმოკლეა. სულ 69 წელიწადი. ესეც თუ ღმერთმა ინება. დავყურებ ამ საბედისწერო ციფრს და გონებიდან არ გამომდის მომაკვდავ ერთა ის საშინელი სია, სადაც საქართველოს ერთ-ერთი „საპატიო“ ადგილი უჭირავს.

მაშ, დავდგეთ და მოთმინებით ველოდოთ, როდის აღმოვჩნდებით ამ შავბნელ სიაში პირველ ადგილზე... მოთმინებითა ჩვენითა მოვიპოვოთ სიკვდილი ჩვენი... თუ, პოეტის თქმისა არ იყოს, ახლა კი დროა ნამდვილად, რომ სხვა რამ გზა ნახოს საქართველომა... რასაკვირველია, სიცოცხლის გზა.

**გურამ გოგიაშვილი**

*P. S. სულ ახლახან მოსკოვში გაიმართა დიდი მსოფლიო სახალხო კრება, რომელიც სიმდიდრისა და სიღარიბის საკითხს მიეძღვნა. ერთ-ერთი რუსული გაზეთის კორესპონდენტმა მხოლოდ ერთი კითხვით მიმართა ფორუმის მონაწილეებს: რა არის იმისათვის საჭირო, რომ რუსეთი მდიდარი და აყვავებული ქვეყანა გახდესო. რუსეთს, ცხადია, თავისი გასაჭირი აქვს, და თავისი გზა აქვს საპოვნელი, მაგრამ მე ძალიან მეზიშნა ერთ-ერთი სწავლულის პასუხი, რომელშიც გამოთქმული აზრი, სოციალური ანატომიის თვალსაზრისით, ვფიქრობ, ნიშანდობლივი უნდა იყოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის. დღეს უაღრესად მნიშვნელოვანიაო, ნათქვამია ხსენებულ პასუხში, ხელისუფლებას, რომელიც რეფორმებს ახორციელებს, რამდენად ღრმად ესმის, რასაც აკეთებსო. უაღრესად მნიშვნელოვანი და მთავარია აგრეთვე ისიც, ხელისუფლება გაგებაშია თუ არა, რომ ჩვენი ხალხის გულისგულში რაღაც მძიმე ენერგია მატულობსო. ამ ენერგიას ეს სწავლული ორ სოციალურ ფენომენად ყოფს — სოციალურ აპათიად და სოციალურ აგრესიად. პირველი იმიტომ იჩენს ხოლმე თავს, რომ ხალხს ხელისუფლების რწმენა ეკარგება. აპათია ძალიან ვნებს უამრავი ადამიანის ჯანმრთელობას. აგრესია კი იმიტომ იჩენს ხოლმე თავს, რომ ხალხს ვერ გაუგია, რატომ გამდიდრდნენ აგრერიგად ისინი, ვინც არც განსაკუთრებული ჭკუით გამოირჩევა და არც განსაკუთრებული განათლებით. ხელისუფლება ვერ ამჩნევს (თუ არ ამჩნევსძ მთავარს — მოქალაქეთა შემოსავლების უთანასწორობის დაუშვებელ დონეს.*

*მოკლედ, საითაც გაიხედავ, საქმე დასტურ ისეა, როგორც ერთი ძველი ანდაზა ამბობს: მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდა, თან დასძახოდა, ცოტა ჭამეო.*

*გ. გ. 11/III-07.*

**ძახილი**

დიდად საყურადღებოა ქვევითა სტრატიგრაფიულ დონეზე, სავარაუდოდ, რომაული პერიოდის უძველესი გალავნისა და თერმის აღმოჩენა, რომლებიც მდინარე მტკვრის ამ ვიწროებში, ბუნებრივი თბილი წყლების რაიონში, ვახტანგ გორგასლამდელ გამაგრებულ დასახლებას გვავარაუდებინებს. საკვლევი ტერიტორია (დაახლოებით 900 კვ. მეტრი და ათიოდე მეტრის სიღრმე) და ამ სივრცეში ნაწილობრივ უკვე წარმოჩენილი რთული, მრავალფენიან-შრიანი არქეოლოგიური ძეგლის სურათი მეცნიერულად დიდად საინტერესო და პერსპექტიულია...

**არქეოლოგიური კვლევა**



არქეოლოგი გივი დამბაშიძე

*ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის 40 მოწამეთას ეკლესიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი გივი დამბაშიძე. ბატონ გივის ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლების შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილით, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და ქართული კულტურის ძეგლების, ქ. მოსკოვისა და ქ. ასტრახანში მეფე არჩილ II-ის, ვახტანგ VI-ის, მათი ოჯახის წევრთა, დიდი ქართველი მოღვაწეების: ვახუშტი ბატონიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, უკრაინაში დავით გურამიშვილისა და თბილისში ნიკო ფიროსმანაშვილის სამარხთა ძიებისა და მოვლის საქმეში...*



აბანოთუბანი

# „...და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა..."

*— ბატონო გივი, გასული წლის მიწურულს საქართველოს გაზეთებით გავრცელდა ინფორმაცია ძველ თბილისში, „აბანოთუბანში" მდებარე 40 მოწამეთას ეკლესიის შემოგარენში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ, სადაც წარმოჩნდა ძველი თბილისის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები...*

*მოდით, ვისაუბროთ ამ გათხრებზე, მის შედეგებსა და პერსპექტივებზე... მოკლედ შევეხოთ თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არტეფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ ქვეყნის, მისი დედაქალაქის წარმოშობის ისტორიას, არა მარტო ჩვენთვის — ქართველთათვის და, საერთოდ, საქართველოს მოქალაქეთათვის, არამედ მისი ძვირფასი და საინტერესო სტუმრებისათვისაც, რომელთა რაოდენობაც დღითი დღე მატულობს.*

— არქეოლოგია ქართველი ერის ისტორიულ ფესვთა მეცნიერებაა. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებსა და არქეოლოგიური კვლევის შედეგებს როგორც ეროვნული, ისე საკაცობრიო ღირებულება და, გარდა ზოგადი კულტუროლოგიურისა, თანამედროვე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟღერადობა და ეკონომიკური ასპექტები აქვს. შესაბამისად, სახელმწიფოებრიობა-აღმშენებლის ჩვენი სამეფო-სამთავროების, მისი კულტურულ-ეროვნული შეუვალობის განმტკიცებისათვის, ქვეყნის წინსვლისათვის, ევროპული ინტეგრაციის პროცესში ღირსეულად ჩართვისათვის, საქართველოს არქეოლოგიისადმი ყურადღება სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან გასაათკეცებელია...

ჩვენი არქეოლოგიური ექსპედიცია (კონსულტანტი — გივი ბოლქვაძე, მოადგილე — მერაბ ძნელაძე, არქეოლოგები: ჯემალ გველესიანი, რევაზ კვირკველია, არქიტექტორი — ლევან ...) 2006 წლის მიწურულს სწორედ ამ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ექსპედიცია განსაკუთრებით საქართველოს პრეზიდენტის დაინტერესებით და მისი ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს. ექსპედიციას არ მოკლებია ხუნდა და ყურადღება საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, ქ. თბილისის მერიის, საეკლესიო წრეების და საზოგადოებრიობისაგან. აქვე აღსანიშნავია „აბრეშუმის გზის" ... „ძველი თბილისი" ... მოსახლეობა დიდი ... დაინტერესება არქეოლოგიისა და კვლევის შედეგებით ერთად... დარწმუნებული ვარ, ... „ცხოვრება და ..." გაზეთები ... დიდი შრომა. გამოჩნდა, ჩვენი ... თბილისის, ... დიდი ... ძველი თბილისის სანახებში, სადაც ჩვენი დედაქალაქის ისტორიის აკვანი დაირწა, შეუდარებელ კოლორიტულ უბანში, თვეობით ყოფნა და მის მიწისქვეშეთში მუშაობა ...

ახლა კი, ვუპასუხებ თქვენს შეკითხვებს:

ლეგენდები თბილისის შესახებ უკავშირდება დიდმეფეთა: ფარნავაზისა (ქრისტეშობამდე IV ს. მიწურული — III ს. I ნახ.) და ვახტანგ გორგასლის (V ს. 40-იანი წ.წ. — 502 წ.) სახელებს.

ლეონტი მროველის მიხედვით — „განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა..." მისი ნატყორცნი ისრით დაჭრილი ირემი დაეცემა კლდის ძირში, სადაც არსებულ გამოქვაბულში მეფე ურიცხვ განძს აღმოაჩენს, რითაც ქუჯისთან ერთად დამოუკიდებლობას აღწევს და ქართლის სამეფოს აარსებს. არსებობს მოსაზრება, რომ ფარნავაზის „ცხოვრების" ლეგენდისმსგავსი ეს ამბავი დაედო საფუძვლად ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების ლეგენდას. ამ ლეგენდით ვახტანგ მეფის ისრით დაჭრილ შველს ცხელი წყლის წყაროში ჭრილობა სასწაულებრივად მოუშუშებია და ამ ადგილზე, მეფის ბრძანებით, ქალაქი დაუარსებიათ, სახელად კი თბილი წყაროების გამო — ტფილისი უწოდებიათ (დედაქალაქის ეს სახელწოდება „ტფილისი" — შემდეგ, სხვა ენებში გავრცელდა სხვადასხვა სახეცვლილებით: რუსულსა და ევროპულ ენებში — „ტიფლის", არაბულ-სპარსულში — „თიფლის", სომხურში — „ტფლის", ბერძნულში — „ტეფილის"... არსებობს მოსაზრებაც, რომ თბილისის სახელწოდება ასურული წყაროების „თაბალს" ან ბიბლიურ „თობელს" უკავშირდება). მეორე ლეგენდით თბილისის სანახებში მონადირე მეფე ვახტანგის ისრით დაჭრილი ხოხობი და მას დადევნებული მეფის შევარდენი ცხელ წყაროში ჩავარდნენ და დაიფუფქნენ. იმ „ტფილი" წყაროების მიდამოებში კი ქალაქი გააშენეს...

ჯუანშერის მიხედვით ქალაქ თბილისის ფუძჩამყრელი ვახტანგ გორგასალია: „...და ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაედვა"; მისმა ძემ დაჩიმ (502-514 წ.წ.) კი — „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ". ამრიგად, ამ წყაროებით, თბილისის დედაქალაქობა ამ ხანაში იწყება (1958 წლის 17-18 ოქტომბერს თბილისის დაარსების 1500 წლისთავი აღინიშნა, რაც ეროვნულ დღესასწაულად იქცა). ჯუანშერისავე ცნობით, კარგად ჩანს თბილისის აღშენება-გაძლიერება იმავე VI საუკუნეში, გუარამ კურაპალატისა და მისი ძის სტეფანოზის დროს: „...მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოხრდებოდა და კალა აშენდებოდა... და დაჯდა იგი ტფილისს".

მიჩნეულია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის, ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვეყნების გზასაყარზე, ხელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ-საფორტიფიკაციო გარემოში არსებობამ, თანამედროვე ტერმინოლოგიით მისმა გეოპოლიტიკურ-სტრატეგიულ-ეკონომიკურმა იმპერატივმა აქცია ადრეფეოდალურ ხანაში ქართლის ძველი დედაქალაქის მცხეთის აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრისავე გაყოლებაზე არსებული სივრცე ქვეყნის ახალ დედაქალაქად და, მანაც, სრულად გაიზიარა მისი ბედ-იღბალი: საქართველოს მტერთა ურიცხვი შემოსევები, ნგრევა, გადაბუგვა, ღალატი... ეთნოსების, რელიგიების, კონფესიებისა და კულტურათა თანაარსებობა, ხელიდან ხელში გადასვლა, ნგრევა-შენება და კვლავ შენება... შუასაუკუნეებიდან მოკიდებული მრავალსაუკუნოვან ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში, აღწერილობებში, შემორჩენილ რუკებში, ნახატ-ნახაზებში, შემდეგ კი ფოტო-სურათებში და ქართველ მეცნიერთა მრავალთაობების სამეცნიერო ნაშრომებში აღბეჭდილ-გამომზეურებულია მისი იერსახე: პოლიტიკურ-კულტურული რაობა, პანორამები, ქალაქგეგმარებითი, ცალკეული უბნებისა და ნაგებობების, მოსახლეობის საქმიანობა, ზნე-ჩვეულებები და ა.შ. აღნიშნულ-დადასტურებულია მისი მნიშვნელობა ქვეყნის და მაშინდელი გარესამყაროსთვის.



გათხრების ხედი

თბილისის ტერიტორია, ისევე როგორც მთელი საქართველო, მნიშვნელოვანი და დიდად საინტერესოა არქეოლოგიურადაც.

ზოგიერთის აღვნიშნავ: შემთხვევით თუ არქეოლოგიური ძიებით მის ტერიტორიაზე ქვის ხანიდან მოკიდებული (ქრისტეშობამდე დაახლოებით V ათასწლეულის II ნახ-დან; დელისი — შუა საუკუნეების ჩათვლით, უამრავი ძეგლია აღმოჩენილ-დადასტურებული, უაღრესად საინტერესოა, დიღმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თრელიგორების ნასახლარი (IV ათასწლეულიდან-შუა ფეოდალურ ხანამდე, იქვე სამაროვანი ბრინჯაო — რკინის ხანისა; დიდუბე-კიკეთის ჯგუფის ძეგლები; II ათასწლეულის II ნახევრის დიდი ყორღანული სამარხები (მარტყოფი; ძლიერადაა წარმოდგენილი გვიანი ბრინჯაო — ადრე რკინის ხანა (მდინარე მტკვრის ორსავე სანაპიროზე ერთმანეთის შორიახლოს დასტურდება XV-VII სს. თანანამოსახლარები: „დედაციხეზე", ორთაჭალჰესთან, მეტეხის პლატოზე, არის მონაცემები იქვე ანტიკური ხანის ნაგებობათა ნაშთების არსებობისა; ასევე, ე.წ. ელინისტური და გვიანანტიკური ხანა, რაც დაკავშირებულია სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე გამავალი ერთ-ერთი მაგისტრალური სავაჭრო გზის ფუნქციონირებაზე, რომლითაც აღმოსავლეთის ქვეყნები (ინდოეთი, ჩინეთი) — დასავლეთის ქვეყნებს (საბერძნეთი, რომი) უკავშირდებოდნენ და რომლის მნიშვნელობამაც იმატა რომის ექსპანსიის შედეგად, და, ჩვენს თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღვნიშნავთ თბილისის „დედაციხესა", ერეკლე II-ის მოედანთან და განჯისკართან არქეოლოგიური თხრით გამოვლენილ შუა საუკუნეების ძეგლებს: საფორტიფიკაციო, სასულიერო და საერო ხუროთმოძღვრების, საწარმოო-სამეურნეო, ქართულ და უცხოურ ნუმიზმატიკურ მასალას და ა. შ. ისინი ნათლად აშუქებენ დედაქალაქის ისტორიასა და მის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობებს (ეს უძვირფასესი მატერიალურ კულტურის ძეგლები დაუნჯებულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისის არქეოლოგიურ მუზეუმსა და არქეოლოგიურ ბაზებში, მრავალი გამოქვეყნებულია, მრავალიც ელის ექსპონირებასა და სამეცნიერო თუ პოპულარული სახით გამოქვეყნებას).

*— ბატონო გივი, შევეხოთ ძველ თბილისში, „აბანოთუბანში" 40 მოწამეთას სახელობის ეკლესიის მშენებლობას, იესო ქრისტესათვის თავგანწირულ 40 სებასტიელი მეომრის ისტორიას, თბილისის მფარველი წმიდანის აბო თბილელის წამების ადგილსა და ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს.*

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის კურთხევით, მეუფე დავითის, წმიდა ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მამა ბესარიონის, 40 მოწამეთას ეკლესიის წინამძღვრის, დეკანოზ მამა აბრაამის ზრუნვით, ქველმოქმედთა და მორწმუნე მრევლის შემწეობით ეკლესიის მშენებლობა 1998 წლიდან დაიწყო. ახალი ეკლესია (არქიტექტორი — რევაზ ჯანაშია) შენდება ნაეკლესიარზე (მოგვიანო „მთავარანგელოზის" „ციხის პატარა ეკლესია"; იგი 1920-იან წლებში ააფეთქეს), რომელიც, არსებული ტრადიციით (პ. იოსელიანი, მ. ჯანაშვილი...), მიჩნეულია, რომ სწორედ 40 მოწამეთას ძველ ეკლესიაზე იყო დაფუძნებული...

აქვე გავიხსენოთ: რომის იმპერიაში ქრისტიანთა ბოლო, საშინელი დევნის პერიოდში, ლიკინიუსის მმართველობისას, დაახლოებით 320 წელს, იესო ქრისტეს რწმენისათვის ჯერ სებასტიის გაყინულ ტბაში აწამეს, შემდეგ კი ხმლებით აკუწეს 40 კაპადოკიელი მეომარი (ხსენება 22 მარტს). წამებულნი შემდეგში, ეკლესიამ წმიდანებად შერაცხა. საქართველოს სხვა მხარეებშიც არსებობს მათ სახელზე ნაკურთხი ეკლესიები...

აღსანიშნავია, რომ 40 მოწამეთას ეკლესიასთან ასევე დაკავშირებულია იესო ქრისტეს რწმენისათვის თავგანწირული წმიდა აბო თბილელის (786 წ.) მარტვილობაც. VIII ს. მწერლის იოანე საბანის ძის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში „წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოისი", მითითებულია წმიდა აბოს წამების ადგილი: „...სადა — იგი მოჰკუეთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდასა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა ორმეოცთა დაფუძნებულ იყო..."

ამრიგად, საუკუნეთა განმავლობაში და დღესაც, იესო ქრისტეს რწმენისათვის გვემულ წმიდათა სახელები მუდმივად ეხმიანებიან საზოგადოებას და, ასწავლიან მათ მტკიცედ და შეურყევლად დგომას რწმენასა შინა, მათ სახელზე თბილისში კვლავ აღშენებული ეკლესია კი კიდევ ერთი სულიერი სავსაყუდელია... ამიტომაც თბილისელები სასოებით შეჰყურებენ მის აღშენებას, რომელიც წლეულს უნდა დასრულდეს...

არქეოლოგიური კვლევა-ძიებაც ეკლესიის მშენებლობის დარად, დროითი ხარვეზებით მიმდინარეობდა (1998, 2001, 2003 წწ. — ხელმძღვანელობდა აწ. გარდაცვლილი არქეოლოგი ბ-ნი ოთარ ტყეშელაშვილი) და განახლდა 2006 წლის მიწურულს (15.09-15.12). არქეოლოგიური თხრით აღმოჩენილია თბილისის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ძეგლები, გვიანანტიკური პერიოდიდან (დედაქალაქობამდელი) მოკიდებული-შუასაუკუნეების ხანისა და, სულ ბოლო, XIX—XX საუკუნეებით დამთავრებული. გამოვლენილია საფორტიფიკაციო, საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრების, სახელოსნო-სამეურნეო ხასიათის ძეგლები, სამარხები, სამშენებლო, სამარნე-სამზარეულო-სასუფრე დანიშნულების კერამიკა, ასობით მონეტა, უცხოურიცა და ადგილობრივიც... მათ შორის დიდად საყურადღებოა ქვევითა სტრატიგრაფიულ დონეზე, სავარაუდოდ, რომაული პერიოდის უძველესი გალავნისა და თერმის აღმოჩენა, რომლებიც მდინარე მტკვრის ამ ვიწროებში, ბუნებრივი თბილი წყლების რაიონში, ვახტანგ გორგასლამდელ გამაგრებულ დასახლებას გვავარაუდებინებს. საკვლევი ტერიტორია (დაახლოებით 900 კვ. მეტრი და ათიოდე მეტრის სიღრმე) და ამ სივრცეში ნაწილობრივ უკვე წარმოჩენილი რთული, მრავალფენიან-შრიანი არქეოლოგიური ძეგლის სურათი მეცნიერულად დიდად საინტერესო და პერსპექტიულია... საბოლოო დასკვნები, რასაკვირველია, ძეგლის სრული შესწავლის შემდეგ გაკეთდება (ჩასატარებელია არქეოლოგიური თხრა, ლაბორატორიული კვლევა), რომლის თაობაზეც ექსპედიციას აქვს შემუშავებული კონცეპტუალური ვარიანტი.

ძველ თბილისში, „აბანოთუბანში", მშენებარე 40 მოწამეთას ეკლესიის ქვედა სართულსა და მის შემოგარენში გამიზნული არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დაფუძნებით, რაც საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფალთა და ქველმოქმედთა ქტიტორობით, მეცნიერთა და ძეგლთა დამცველთა საერთო ძალისხმევით უნდა აღსრულდეს, დაგვირგვინდება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ისტორიულ-კულტურული სივრცის შექმნა (ამდაგვარი მუზეუმებით დამშვენებულია ძველ კულტურათა ქვეყნების ქალაქები, უამრავ სტუმარ-დამთვალიერებელს რომ იზიდავს)... მრავალათასწლოვანი ქართული კულტურა და ისტორია ხომ ჩვენი ქვეყნის ქომაგიც და დესპანიცაა დანარჩენ მსოფლიოსთან ურთიერთობაში.

*— მადლობა ინტერვიუსთვის. ამგაზაფხულზე ალბათ ახალი არქეოლოგიური სეზონი დაიწყება, ველით ახალ აღმოჩენებს...*

ესაუბრა
**სანდრო ალექსიძე**

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

**რა თქმა უნდა, თავად ავტოსადგურთა მფლობელები იმის ჩიტები არ არიან, ასეთი საიდუმლო გაამჟღავნონ, პირიქით, თავს ისაწყლებენ, 2-3-თეთრიან მოგებას ვყაბულდებით და რალას გვედავებითო.**



**საერთაშორისო პრემია**

# მშვიდობის ახალი ელჩები

**საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდი Give 5 წელია საქართველოში მოღვაწეობს. ფონდი არაერთი კეთილი საქმის წამომწყებია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ცივილიზაციათა და კულტურათა შორის დიალოგის განვითარებას, ეხმარება დაწყებით და საშუალო სკოლებს, ლიცეუმებს, უნივერსიტეტებს, წარმატებულ სტუდენტებსა და მოსწავლეებს სტიპენდიებით უზრუნველყოფს.**

ფონდმა დააწესა საერთაშორისო პრემია „მშვიდობის ელჩი", რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გადაეცემათ ცნობილ მოღვაწეებს, მათ ვინც მშვიდობის განმტკიცებისთვის განსაკუთრებულად იღვწიან.

2005 წელს პრემია სანდრა რულოვსს, მანანა ლოიჯაშვილს, ნინო ანანიაშვილს, რუსუდან ფეტვიაშვილს მიენიჭათ. წლეულს კი, „მშვიდობის ელჩის" საპატიო წოდება წილად ხვდათ: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორს, პროფესორ **გიული ალასანიას,** ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში **ჯონ ტეფტს,** თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში **ერთან თეზგიორს,** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს თურქეთში **გრიგოლ მგალობლიშვილს,** პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს **ნოდარ გრიგალაშვილს.**

სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტში" პრემიის გადაცემის ცერემონიალს მომღერალი ნეკა სეხისკვერაძე უძღვებოდა.

ქალბატონმა გიული ალასანიამ დღევანდელ სამყაროში მშვიდობის მნიშვნელობაზე ილაპარაკა. „ჩვენ – ყველანი მოვალენი ვართ, გავუფრთხილდეთ მშვიდობას. ამ მხრივ გამორჩეულ როლს ასრულებს განათლება. პატრიოტი მხოლოდ ის ადამიანი კი არ არის, ვისაც სამშობლო უყვარს და საკუთარი ქვეყნის კულტურას იცნობს, არამედ ის, ვინც სხვების კულტურას აფასებს და ამ თვალსაზრისით ძალისხმევას არ იშურებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწორედ ასეთი პატრიოტების აღზრდას ვემსახურებით.

მოხარული ვარ, რომ თურქმა კოლეგებმა და მეგობრებმა დააფასეს ჩემი მოკრძალებული წვლილი. ჩვენ მრავალი ერთობლივი პროექტი განვახორციელეთ"...

დაჯილდოების ცერემონიალზე მშვიდობასა და შემწყნარებლობაზე მრავალჯერ გაამახვილეს ყურადღება, თქვეს, რომ ეს პრემიაც ამ მისიის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯია. სუპერსახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისთვის, ჯონ ტეფტისთვის დიპლომატისა და საელჩოს მისია, უწინარესად, იმ საფუძვლის შექმნაა, რაზეც ერების მშვიდობიანი თანაცხოვრება დაეფუძნება: „ძალზე გამიმართლა, რადგან ჩემი მეუღლე და თანამშრომლები, ყოველდღიურად, ამ ამოცანის მისაღწევად ზრუნავენ. ამიტომ ეს ჯილდო არა მხოლოდ ჩემი, არამედ მეუღლის და თანამშრომლების დამსახურებაა".

ელჩმა ერთან თეზგიორმა კი, დაჯილდოების ცერემონიალზე, დიდი თურქი ლიდერი ათა თურქი გაიხსენა, ვისი უმთავრესი პრინციპიც მშვიდობა იყო. ელჩმა თურქეთის მეზობელ საქართველოსაც სწორედ მშვიდობა უსურვა.

ბატონმა გრიგოლ მგალობლიშვილმა განაცხადა, რომ თურქეთში მძლავრი ქართული დიპლომატიური კორპუსის არსებობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დიდმა ტრადიციებმა განაპირობა: „მინდა, მივმართო ფონდს, თურქეთშიც დაარსდეს ქართველოლოგიის ფაკულტეტი. ეს იქნება კონკრეტული, ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი სამომავლო ურთიერთობის გზაზე. ამით მეზობელ თურქეთში საქართველოსადმი ინტერესი გაფართოვდება".

ნოდარ გრიგალაშვილმა საერთაშორისო პრემიის „მშვიდობის ელჩის" მიღებისთვის გიული ალასანიას გადაუხადა მადლობა. პარლამენტარმა კიდევ ერთხელ გაიხსენა, თუ როგორ ენატრებოდა ქართველ კაცს მშვიდობა, იგი ხომ მშვიდობის პირველი მოციქული იყო მსოფლიოში: „ვინ იცის, იქნებ, მას უფალმა XXI საუკუნეში ეს მისია ისევ დააკისროს, რალა თქმა უნდა, ჩვენი დიდი მეგობრების: ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის დახმარებით"...

საღამოზე არაერთხელ გახმიანდა სიტყვა ორი ქვეყნის – საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობასა და ურთიერთსასარგებლო პროექტებზე.

**თამარ შაიშმელაშვილი**

**ინფორმაცია**

## საზღვრების ჩაკეტვით ურთიერთობებს ვერ გავაუმჯობესებთ

**გავრცელებულ ინფორმაციას ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის 2008 წლამდე ჩაკეტვის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი ეხმაურება.**

**მისი განმარტებით, აღნიშნული საკითხის განხილვა მხოლოდ საქართველოს კომპეტენცია არ არის.**

**– ეს მარტო ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. თავის დროზე ის რუსეთმა თავისი სურვილით ჩაკეტა. ახლაც რუსეთის გადაწყვეტილება ცალმხრივი იქნება. ჩვენ მოვუწოდეთ რუსეთს, რომ საკუთარი გადაწყვეტილებისთვის გადაეხედა, თუმცა, ეს მათი სუვერენული უფლებაა. საზღვრების ჩაკეტვით, რაც მე საგარეო საქმეთა მინისტრსაც ვუთხარი, ვერ გავაუმჯობესებთ ჩვენს ურთიერთობებს. ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რაც მხარეებს შორის ურთიერთობებს სასიკეთოდ შეცვლის, – განაცხადა მინისტრმა.**

## გასართობი კლუბი თამარაშენში

**დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ თამარაშენში, გასართობი კლუბის მშენებლობა მიმდინარეობს. მშენებლობაზე ადგილობრივი მცხოვრებლები მუშაობენ. ამჟამად, პირველი სართული უკვე აშენებულია.**

**სამუშაოების დასრულების შემდეგ, გასართობ კლუბში დისკო-ბარი, საცეკვაო, თეატრისა და კინოს დარბაზები და კაფე-ბარი განთავსდება.**

**მშენებლობა 1 თებერვალს დაიწყო და, სავარაუდოდ, 15 მაისს დასრულდება.**

ХО-ЭОВ-ЭНО

**ფასები**

# გატყუებენ, ძმაო, გატყუებენ!

## რამდენად ძვირია იაფად ნაყიდი სიცრუე?

**მას შემდეგ, რაც ქვეყანა კომუნისტური რეჟიმის ტყვეობისგან გათავისუფლდა, ადამიანთან ერთად ბაზარიც გადემოკრატდა. სადღაა ძველებური, კონსერვატიულობისგან ოზმოკიდებული ფასები, დღეს ბაზარში მეწარმე თუ მოვაჭრე საკუთარ პროდუქციას რამდენადაც მოეპრიანება, იმდენად გაყიდის. აბა, თუ ბიჭი ხარ, შეედავე – სულ კუდით ქვას გასროლინებს. ხოლო თუ ფრთხილად არ იქნები, შეიძლება ის ქვა თავშიც მოგხვდეს და გაგიტეხოს.**

**ასე რომ, თავს გაუფრთხილდი! რა ძალა გადგია, ვიღაცას ცხვირით შეეჯახო. მე შენ გეტყვი, ფასები ასარჩევად არ არის დღეს ბაზარში – რამდენი კაციც ვაჭრობს, იმდენი ფასია. შეხედე, ამოარჩიე და რომელიც მოგეწონება, ან უფრო სწორად, რომელზეც ჯიბე გაგწვდება, შენც ის იყიდე.**

კონკურენტულია ნავთობპროდუქტების ბაზარიც, როგორი ფერისა და გემოვნების ბენზინი, დიზელის საწვავი თუ ნავთი გნებავთ, რომ აქ არ იყიდებოდეს. ამიტომ ნუ იჩქარებ, მანქანითა ხარ, ჩემო ძმაო, ფეხით ხომ არა, ჩამოიარე, ფასები კარგად დაზვერე და ყიდვა შემდეგ გადაწყვიტე. ამის მიუხედავად, ზოგი მაინც სულსწრაფია, უფრო თვალს უჯერებს, ვიდრე გონებას. ასეთები, როგორც წესი, იაფ საწვავს ეტანებიან, მაგრამ ამას რა შედეგი მოჰყვება, იმას კი აღარ უკვირდებიან.

თურმე ამით სარგებლობენ ბენზინგასამართი სადგურები და ავტომფლობელებს უღმერთოდ ატყავებენ. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში, სადაც ამ საკითხს სპეციალურ ბრიფინგიც კი მიეძღვნა. თუმცა როგორც ამ კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, ეს ბრალდება ძირითადად საეჭვო წარმომავლობის გასამართ სადგურებს ეხებათ.

მაინც რომელია ეს სადგურები?

– აი ისინი, – დააკონკრეტა კავშირის თავმჯდომარემ, – თბილისის გარეუბნებში – დავით აღმაშენებლის ხეივნის, კახეთისა და რუსთავის გზატკეცილების გასწვრივ რომ განლაგებულან და მომხმარებელს დიზელის საწვავს მაცდურ ფასებში (1.10-1.13 ლარად) სთავაზობენ. ბევრი თურმე ებება ამ ანკესზე, მიაყენებს ავტომანქანას და საწვავს ავზში სულ შხიპინ-შხიპინით მიუშვებს.



რატომ ფიქრობენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში, რომ მაინც და მაინც ის ავტოგასამართი სადგურები იტყუება და სხვები არა? როგორც ბრიფინგზე ითქვა, ეჭვი დაბადა თავად საწვავის დაბალმა ფასმა. მათი განმარტებით, დღეისათვის ადგილობრივ ბაზარზე აზერბაიჯანული დიზელის საწვავის საბითუმო ფასი 1.13-1.14 ლარია, თურქმენულისა – 1.10-1.12 ლარი. თუ ეს ავტოგასამართი სადგურები თითონვე არ არიან აღნიშნული საწვავის შემომტანები ვერაფრით შეძლებენ ამ პროდუქტის ასე იაფად გაყიდვას. უფრო სწორად, კი გაყიდიან, მაგრამ წაგებულები დარჩებიან.

ვერ შეედავები, ლოგიკურად მსჯელობენ, წაგებაზე მომუშავე ავტოგასამართი სადგურები კი, აბა, ვის უნახავს? თითო ლიტრ საწვავზე ერთი 5 თეთრი მოგება თუ მაინც არ დარჩათ, ისე იქ ვინ გაგიჩერდება!

მაგრამ ხომ შეიძლება, რომ მათ კონტრაბანდული საწვავი შემოაქვთ და, იაფად რეალიზაციის პირობებშიც, კაი ბლომად მოგება რჩებათ?

– ამის დაბეჯითებით თქმა არ შეგვიძლია, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი, – მაგრამ ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ საწვავის ჩასხმის დროს გამყიდველი მომხმარებელს ატყუებს: ავტომფლობელს იმ რაოდენობის საწვავს არ უსხამს, რამდენისაც გადაიხადა, თანაც ამას მუდმივად აკეთებს.

მთვრალაშვილის განცხადებით, ძირითადად მოტყუებული რჩებიან გადამზიდავი ავტოტრანსპორტის მფლობელები, რომლებიც ერთ ჯერზე დიდი რაოდენობის საწვავს (50 ლიტრს და მეტს) ასხამენ. მოდი და გაარკვიე, ამ მოცულობის საწვავში მომხმარებელს რამდენი მოატყუეს (?!).



არადა, ცდუნების მოტივი საკმაოდ „სოლიდურია" – ავტოგასამართი სადგურები მომხმარებლის საწვავის რაოდენობაში მოტყუებით უფრო დიდ მოგებას ნახულობენ, ვიდრე მისი მაღალ ფასად რეალიზაციის შემთხვევაში, ვინაიდან მოტყუებულ ოდენობაში მეწარმე დამატებითი ღირებულების გადასახადს აღარ იხდის.

რა თქმა უნდა, თავად ავტოსადგურთა მფლობელები იმის ჩიტები არ არიან, ასეთი საიდუმლო გაამჟღავნონ, პირიქით, თავს ისაწყლებენ, 2-3-თეთრიან მოგებას ვყაბულდებით და რალას გვედავებითო. რეალობა კი ის გახლავთ, რომ თუ იმ ხარჯებს ვიანგარიშებთ, რაც მათ ფაქტობრივად აქვთ (საწვავის ტრანსპორტირების, ელექტროენერგიის, წყლის და სხვა.ქ, საერთოდ არანაირი მოგება აღარ დარჩებათ.

თუ იმ ლოგიკას გავყვებით, რასაც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის სპეციალისტები გვთავაზობენ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწვავის ძვირად გამყიდველები უფრო წაგებულები რჩებიან, ვიდრე იაფად გამცემნი. თუმცა დღევანდელ პირობებში, როცა ბაზარი უფრო არაკონკურენტუნარიანია და მაკონტროლებელიც აღარავინ დარჩა (საქსტანდარტი გაუქმებულია კაი ბიჭი ხარ და გაარკვიე), რომელი დარჩა მოგებული და რომელი კიდევ – წაგებული! განა იმავე მეძვირეებს ხელები აუკანკალდებათ, რომ მომხმარებელი საწვავის მოცულობაში მოატყუონ?

**აი, მომხმარებლები რომ ყოველთვის წაგებულები რჩებიან, ამას კი, ვფიქრობ, გარკვევა არ სჭირდება. ამიტომ მინდა, ეს უკანასკნელი გავაფრთხილო: გატყუებენ, ძმაო, გატყუებენ! მაშინაც, როცა იაფფასიან საწვავს ირჩევ და მაშინაც, როცა ძვირფასიანს ასხამ სანუკვარ „მერსედესში" და გზას ლიღინით მიუყვები.**

**ოტია ჩართოლანი**

**დღეს ერთდროულად სულ სხვადასხვაგვარ ოცნებებსა და იმედებს ესხმის ხორცი: მამას ქალიშვილის გათხოვების იმედი უსრულდება, ქალიშვილს გაბედნიერების იმედი, სასიძოს დაოჯახების იმედი, რაც ძალიან კარგია, რადგან სუყველა ცალ-ცალკე ოცნებობდა და ახლა უნდათ, რომ სხვათაც დაანახვონ, როგორ აუხდათ ოცნებები**



## ჩვენი ბიბლიოთეკა

რადგან მეც ძილი წამომერია, სასწრაფოდ ვარჯიშის დაწყება გადავწყვიტე. დარჩენილი მინერალური წყალი პლასტმასის ბოთლიდან ცემენტის იატაკზე დავასხი და საჭიროებისდაგვარი პატარა გუბურა გავაჩინე. თავში არავითარი მოსაზრება არა მქონია, თუ რა უნდა მექნა, და ამას არც ვესწრაფოდი. ჩავცუცქდი და თითი გრილი წყლის ზედაპირს მივავლ-მოვავლე, მაინცდამაინც დიდ დროს არ გაუვლია, და ვიგრძენი, რომ ჰიპნოზურ მდგომარეობაში ვექცეოდი, რაც ძალიან ჰგავდა იმ შეგრძნებას, რასაც ცეცხლის ყურებისას განვიცდით. არცრაზე არა ვფიქრობდი, უბრალოდ ვთამაშობდი — წყლის პატარა გუბურას ვეთამაშებოდი. გუბურის საზღვრებიდან სხვადასხვა მხარეს რამდენიმე ხაზი გავავლე, და გუბურა სველ, ნოტიო მზეს დაემსგავსა. მაგრამ სუყველა ხაზი მალევე გაქრა, ისევ გუბურაში ჩაიწურა. მერე გუბურას ხელისგულის ტყაპუნი დავუწყე — და პაწაწინა მუქ ვარსკვლავებად ქცეული აშხეფებული წყლის წვეთები ცემენტის ნაცრისფერ ზედაპირს წინწკლავდნენ. კიდევ კარგა ხანს ვატყაპუნე ხელი სულ ერთიანად ჩანთქმულმა ამ უსაგნო მეცადინეობასა თუ სავარჯიშოში, რასაც არავითარი საგანგებო რამ მიზანი არა ჰქონია რა, მაგრამ სიამოვნებას მგვრიდა. გონება მთლიანად გამომეთიშა, და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რასაც ადრე ხანგრძლივი რელექსაციისა და მედიტაციის გზით ვაღწევდი. თანაც, ამავე დროს, სადღაც შიგნიშიგან, სადაც ჩემი ცნობიერება ვერც ატანდა, როგორც ვგრძნობდი, ჩემში უცნობი რამ ძალა ილვიძებდა, რომელიც მზად იყო თავის გამოსავლინებლად.

გუბურას ხანიერად ვეთამაშე — აშკარად მიჭირდა სავარჯიშოს შეწყვეტა. უკეთუ პეტრუსი რაღაც მსგავს რასმე ჩვენი მოგზაურობის დასაწყისშივე შემასწავლიდა, ამ ამბავს უეჭველად დროის ფუჭ ხარჯვად ჩავთვლიდი. მაგრამ ახლა, როცა არა ერთ უცნობ ენაკავზე ვმეტყველებდი და ავსულ ქასქანჯიელთაც ვდევნიდი, პატარა გუბურის წყალი წამერთ იმ ძაფად იქცა — თუნდაც დუნე და სუსტ ძაფად, — ირმის ნახტომთან რომ მაკავშირებდა, რომელიც თავს დამკაშკაშებდა. წყალში არეკლილი ვარსკვლავები უცნობ თანავარსკვლავედებად ლაგდებოდნენ, და ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ დროს ფუჭად კი არ ვკარგავდი, არამედ სრულიად ცამყართან ურთიერთობის მავან ახალ ენასა ვქმნიდი. ეს დასტურ სულის ის საიდუმლო ენა იყო, რომელიც ყველასა აქვს, ოღონდ ცოტა ვისმე თუ ეყურება.

რომ გამომელვიძა, კარგა გვიანი იყო. სასტუმროს შესასვლელის თავზე დაყენებული ნათურა უკვე ჩაექროთ, ჩემს ნომერში სულ ფეხაკრეფით შევედი. ოთახში კვლავ ვუხმე ასტრაინს. უმალ გამომეცხადა და ბევრად უფრო მკაფიოდ ჩანდა, ვიდრე სულ პირველად, და შევბედე — ცოტა რამ მახვილზეც ვუამბე და ცხოვრებაში რისი მიღწევაც მინდოდა, ისიც ვუთხარი. ეს ჩემი მაცნე-მაუწყებელი ჯერხნობით არ მეპასუხებოდა, მაგრამ პეტრუსმა როგორც ამიხსნა, უკეთუ ასტრაინს ცისმარე დღე გამოვუხმობდი, თანდათან ის ჩემ მხარდამჭერ ცოცხალ და აქტიურ ძალად გადაიქცეოდა.

## ქორწილი

ლოგრონიო სანტიაგოს გზაზე მდებარე ერთ-ერთი მოზრდილი ქალაქია, უკეთუ სათვალავში არ ჩავალთ პამპლონას, სადაც არ გავჩერებულვართ. როს მოსაღამოებულზე ლოგრონიოს მივაღწიეთ, იქ თურმე დიდ ზეიმს რასმე ეპირებოდნენ, და პეტრუსის წინადადება იყო, რომ თუნდაც დილამდე მაინც დავყოვნებულიყავით ქალაქში.

რაკიღა ამ ხნის განმავლობაში მრავალ სოფელ ადგილას სიწყნარესა და სიმშვიდეს მივეჩვიე, პეტრუსის იდეას სულაც არ აღუფრთოვანებივარ. ნაგაზთან რომ ამბავი შემემთხვა, იმის მერე უკვე ხუთი დღე იყო გასული, ყოველ საღამოს ვეძახდი ასტრაინს და წყლის სავარჯიშოს ვასრულებდი. ამ ხუთმა დღემ სულიერად დამაწყნარა და დამამშვიდა, რადგან შევიგნე, რომ სანტიაგოს გზა ფრიად მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში, და ახლა სულ უფრო ბევრს ვფიქრობდი იმაზე, რაც უნდა მერე მექნა, როცა ლოცვადმავლობა გასრულდებოდა. თუმცა უდაბური ადგილიც ბევრი გამოვიარეთ და მცირე საჭმლითაც თავი ძლივს გაგვქონდა, მუდამ დღე გაუთავებელი სიარულით ქანცგაწყვეტილნი ხომ ფეხზე ძლივს ვიდექით, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც მშვენიერი იყო.

ხოლო ლოგრონიოს რომ მივადექით, ყოველივე უკან დარჩა, მინდვრების ცხელი, ოღონდ კამკამა ჰაერის ნაცვლად ახლა ბენზინის ბუღს ვსუნთქავდით, ქალაქი გაზეთებისა და ტელევიზიების ხალხს ეპყრა, ირგვლივ მანქანების ტევა არ იყო. პეტრუსი პირველსავე ბარში შევიდა, რათა გაეგო, რა ხდებოდა.

— რა, არ იცით? პოლკოვნიკი მ. დღეს ქალიშვილს ათხოვებს! — უთხრა პეტრუსს ბარმენმა. — მთავარ მოედანზე ყველა მსურველისთვის პურმარილს გაშლიან, ასე რომ დღეს ადრე დავიკეტები.

სასტუმროში, ცხადია, ადგილები არ იყო, მაგრამ ბოლოსა და ბოლოს მოვახერხეთ და ერთი ხნიერი ცოლქმრის ოჯახში მოვეწყეთ, რომელ ცოლქმარზეც აშკარად შთაბეჭდილება მოახდინეს პეტრუსის ტავარჯუხზე გამოსახულმა ნიჟარებმა. შხაპი გადავივლე, წამოვიცვი ის ერთ-ერთად შარვალი, თან რომ მქონდა წამოღებული, და ქალაქში გავედით.

თავიანთ შავ ფრაკებში ოფლმოდენილი ათობით მსახური და ოფიციანტი საბოლოოდ აპეწიან-ალაზათიანებდა მთელ მოედანზე დადგმულ მაგიდებს. ესპანეთის ტელევიზიის გადამღებთა ჯგუფი საქორწილო ზეიმის სამზადისს იღებდა. ჩვენ პატარა ვიწრო ქუჩას გავყევით, რომელიც სანტიაგო ელ რეალის სამრევლო ეკლესიისკენ მიდიოდა, სადაც ცერემონია უნდა დაწყებულიყო.

ეკლესიასთან სულ ერთიანად გამოწკეპილ-გამოპრანჭული ქალაქელი ხალხი გროვდებოდა. ქალებს სიცხისაგან სახეზე მაკიაჟი ადნებოდათ, თეთრად გამოკვანწული ბავშვები მოუსვენრად ცქმუტავდნენ და ჭუჭყუნებდნენ. ატკრციალდა ფეიერვერკი, ვეება შავი ლიმუზინი მთავარ შესასვლელთან მიგორდა. სასიძო მობრძანდა. ეკლესიაში ჩემი და პეტრუსის ადგილი აღარ იყო, ასე რომ მოედანზე მიბრუნება გადავწყვიტეთ.

პეტრუსმა გარეშემო ხეტიალი მოიპრიანა და წავიდა, მე კი ერთ-ერთ მერხზე ჩამოვჯექი, ცერემონიის დამთავრებასა და ბანკეტის დაწყებას დაველოდე. გვერდით ბატიბუტის გამყიდველი მედგა თავის ხონჩიანად: ჩანდა, ცოტაოდენი ფულის შოვნას იმედოვნებდა, როცა ხალხი ეკლესიიდან გარეთ გამოიხენცებოდა.

— ქორწილის სტუმრები ბრძანდებით? — დაგულისყურდა მებატიბუტე.

— არა, პილიგრიმები ვართ, კომპოსტელაში მივდივართ, — მივუგე.

— მადრიდიდან იქით პირდაპირი მატარებელი მიდის, ხოლო პარასკევს თუ წახვალთ, სასტუმროში უფასო ნომერი შეგხვდებათ.

— კი, მაგრამ ჩვენ ლოცვადმავლობას ვასრულებთ.

მებატიბუტემ ალმაცერად გადმომხედა და ხმაში პატივგარეულმა წარმოთქვა:




— ლოცვადმავლობას მხოლოდ წმინდანები ასრულებენ.

გადავწყვიტე, რომ არ შევკამათებოდი ამ საკითხისა გამო. არცრა მიკითხავს, ისე მაუწყა, ჩემი ქალიშვილი უკვე გათხოვდა და გამოთხოვდა კიდეცო.

— ფრანკოს დროს მეტი ზნეკეთილობა იყო, — დაიჩივლა მან, — მაშინ ოჯახურ კავშირს ფასი ჰქონდა.

მართალია, უცხო ქვეყანაში კი ვიყავი, და აჯობებდა, თუ პოლიტიკაზე სიტყვას არ ჩამოვაგდებდი, მაგრამ მებატიბუტემ ისეთი რამ თქვა, უპასუხოდ ვერ დავტოვებდი. მეც ავდექი და პირდაპირ მივახალე, ფრანკო დიქტატორი იყო და ამიტომ იმის დროს უკეთესი ვერც ვერაფერი ვერ იქნებოდა, ვიდრე დღეს არის-მეთქი.

მებატიბუტე წამოჭარხლდა.

— ეგეთი ვინა ბრძანდებით, რომ ეგრე ლაპარაკობთ?

— ბრძანება რა შუაშია, თქვენი ქვეყნის ისტორია ვიცი. ჩემთვის ცნობილია, რომ ხალხი აქ თავისუფლებისთვის იბრძოდა. წამიკითხავს იმ მრავალი დანაშაულის შესახებაც, ფრანკოელნი ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს რასაც სჩადიოდნენ.

— წაგიკითხავთ? მე კი, დღეის ამას იქით იცოდეთ, სწორედ იმ ომში ვიბრძოდი! ლაპარაკის უფლება იმიტომ მაქვს, რომ აქ ჩემი ახლობლების სისხლია დაღვრილი. სულაც არ დავეძებ, რომელი წიგნიდან რა ამოგიკითხავთ, — მე მხოლოდ ჩემი ოჯახის მდგომარეობა მანაღვლებს. დიახ, ფრანკოს წინააღმდეგ ვიბრძოდი, გამარჯვებით კი იმან გაიმარჯვა, მაგრამ უკეთესი ცხოვრება დადგა. გაჭირვებული კაცი არ მეთქმის, ჩემი ფარდული მაქვს, ბატიბუტს ვყიდი. და სოციალისტების მთავრობა, ახლა სათავეში რომ არის, არც არაფერში არ წამდგომია. ამისთანა მძიმე ცხოვრება არცროდის არა ყოფილა.

უცაბედად პეტრუსის ნათქვამი წამომაგონდა იმის თაობაზე, რომ ადამიანებს ხშირად ცხოვრების ნასუფრალით უხდებათ თავის გატანა. კონფლიქტი კიდევ უფრო არ გავამწვავო-მეთქი, ავდექი და სხვა მერხზე გადავჯექი.

პეტრუსი როგორც კი მობრუნდა, მებატიბუტესთან ჩემი დავის ამბავი უკლისად ჩავუწიგნე.

— მოსაზრებათა განხილვა მუდამ ერთსა და იმავე რასმე ემსახურება, — თქვა მან. — ამდაგვარი განსჯა-განხილვა ადამიანებს ეხმარება საკუთარი თავის დაჯერებაში, რომ ისინი მართალნი არიან. ასე რომ იცოდე, მე იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი ვარ და არ მეგონა, თუ ფაშისტებს მხარს უჭერდი.

— რას ლაპარაკობ?! — აღშფოთებულმა ვუთხარი.

— რას ვლაპარაკობ და, ეგ მებატიბუტე საბოლოოდ დაარწმუნე, რომ ფრანკო კარგია. ადრე იქნებ არც გაეგებოდა, რატომ იყო კარგი. ახლა უკვე იცის.

— მართლა? მაინც რამდენი ხანია, რაც იტალიის კომუნისტური პარტიის წევრთ სულიწმიდის მადლისა გჯერათ?

— კაცნი ვართ, გვინდა, არ გვინდა, მუდამ გვაფიქრებს, რას იტყვიან მეზობლები ჩვენზე, — გაიცინა მან და პაპი წარმოსახა, აივნიდან ხალხის მაკურთხებელი.

და ცაში კვლავ აიჭრა უამრავი შუშხუნა, ხოლო მემუსიკენი ესტრადაზე ავიდნენ და საკრავების აწყობას შეუდგნენ. ზეიმის დაწყებას აღარცრა უკლდა.

ცას თვალს ვერ ვაშორებდი. ბინდი ხშირდებოდა, აქა-იქ პირველი ვარსკვლავები დაჩნდნენ. პეტრუსი ოფიციანტის საძებნელად წავიდა და ორი ღვინით სავსე პლასტმასის ჭიქა მოიტანა. ერთი მე გამომიწოდა და თან დააყოლა:

— ამბობენ, ზეიმის დაწყებამდე, ცოტას დალევა საქმეს ადგებაო. რა იცი, მებატიბუტე იქნებ დაგავიწყოს კიდეც.

— ის ისედაც უკვე დავიწყებული მყავს!

— მაგ ამბავს მთლადაც ნუ გაარაფრებ! რაც მოხდა, ეს სიმბოლური გზავნილია: იმის ნიშანია, რომ არასწორად მოიქეცი, ეგრეა. მუდამ სხვათა ჩვენს რჯულზე მოქცევას ვესწრაფვით, ვცდილობთ, რომ ჩვენს მსოფლგაგებას ვაზიაროთ ისინი. ჩვენი აზრით, რაც უფრო მეტი ადამიანი ირწმუნებს ჩვენს სასოება-სარწმუნებელს, მით უფრო მალე იქცევა სინამდვილედ ჩვენი ესა თუ ის წარმოდგენა. არაფერიც.

მიმოიხედე გარშემო. საცაა დიდი დღესასწაული დაიწყება. საზეიმო ცერემონია. დღეს ერთდროულად სულ სხვადასხვაგვარ ოცნებებსა და იმედებს ესხმის ხორცი: მამას ქალიშვილის გათხოვების იმედი უსრულდება, ქალიშვილს გაბედნიერების იმედი, სასიძოს დაოჯახების იმედი, რაც ძალიან კარგია, რადგან სუყველა ცალ-ცალკე ოცნებობდა და ახლა უნდათ, რომ სხვათაც დაანახვონ, როგორ აუხდათ ოცნებები. ეს ზეიმი სულაც იმიტომ არ ეწყობა, რათა ვინმე რამეში დაარწმუნონ, ამიტომაც აქ ნაღდი ლხინი და მხიარულება იქნება. ყველაფერი იმას მეტყველებს, რომ აქ ის ადამიანები არიან თავშეყრილნი, ვინც *სამართლიან ომს* ეწეოდა თავისი სიყვარულის გულისთვის და გაიმარჯვა.

— მაგრამ, პეტრუს, სანტიაგოს გზით რომ მიგყავარ, განა შენც რაღაცაში ჩემს დარწმუნებას არა ცდილობ?

მან ყინულივით ცივი მზერა შემავლო.

— მე მარტოოდენ RAM ორდენის საქმიანობას გასწავლი. მახვილის საპოვნელად კი გულის სიღრმეში დაფარული გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება უნდა შეიცნო.

პეტრუსმა ხელი ცისკენ აიშვირა, სადაც უკვე მკაფიოდ ჩანდნენ ვარსკვლავები.

— ირმის ნახტომი კომპოსტელასკენ მიმავალ გზას გვიჩვენებს. არ არის რელიგია, რომელსაც სუყველა ვარსკვლავის ერთად თავმოყრა შეეძლოს. ხოლო ასეთი რამ თუკი მოხდებოდა, ცამყარი გიგანტურ სიცარიელედ გადაიქცეოდა და თავისი არსებობის აზრს დაკარგავდა. თითოეულ ვარსკვლავს — და თითოეულ ადამიანს — თავისი საკუთარი სივრცე და თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს. არიან ცისფერი, ყვითელი, მწვანე და წითელი ვარსკვლავები, არიან აგრეთვე კომეტები, ანუ კუდიანი ვარსკვლავები, მეტეორები, ანუ ცისიერნი, მეტეორიტებად რომ ცვივიან დედამიწაზე, არსებობს უამრავი ვარსკვლავიერი ნისლოვანება და უამრავივე ბაკმი, ანუ ხილული ნათლის სარტყელი, პლანეტათა თუ ცთომილთა გარეშემო მოვლებული. რაც რამ აქედან, დედამიწიდან, ჩანს, როგორც ერთგვაროვანი დიდძალი პაწაწინა ლაქა, სინამდვილში ყველაფერი უთვალავი სხვადასხვა საგანი და მოვლენაა, მიმოფანტული სივრცეში, რომლის არსშიც ჩაწვდომა კაცობრიული გაგების უნარს აღემატება.

და კვლავ ტკრციალით აიჭრა ცაში ურიცხვი ფერადი შუშხუნა, რომელთაც წამიერ ვარსკვლავნიც კი დაჩრდილეს. მოციმციმე მწვანე ნაპერწკლების ბურჯღალი გადაშლილი ჩამოწვიმდა მიწაზე.

— წეღან ფეიერვერკის მხოლოდ ხმის გაგონება შეგვეძლო, ახლა კი, როცა ბინდი ჩამოწვა, უკვე დანახვაც შეგვიძლია, — თქვა პეტრუსმა. — და ეს ერთადერთი რამ ცვლილებაა, რასაც შეიძლება რომ სასოებდეს ადამიანი.

ნეფე-პატარძლის ეკლესიიდან გამოსვლას ჟრიამულითა და შეძახილებით შეხვდა ხალხი, ზოგნიც სულ ახლოს მიიჭრნენ და ბლუჯა-ბლუჯა აყრიდნენ ბრინჯს. დედოფალს, თექვსმეტიოდე წლის კნაჭა გოგოს, მაგრად ჩაევლო ხელი კოხტად გამოწყობილი ნეფისთვის. ახალჯვარდაწერილთ უკან მაყრიონი მოჰყვა, და ყველანი მოედნისკენ გაემართნენ.

— აგე პოლკოვნიკი... აუ, რა კაბა აცვია პატარძალს! რა ლამაზიაა! — დაიყვირეს ბავშვებმა ჩვენ შორიახლო.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 32-43, 45.

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576





# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-14

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.220.020.36.101.010.077

### „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-19 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა შეტანილ იქნეს ცვლილება „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-19 გადაწყვეტილებაში და დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულოში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა შესწავლის მიზნით, შექმნილია გარემოს დაცვის საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისია (შემდგომში – კომისია)."

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეჟაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-17

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.220.020.36.101.010.078

### „სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-18 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა შეტანილ იქნეს ცვლილება „სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი ქ. თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 1 დეკემბრის №3-18 გადაწყვეტილებაში და დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულოში სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შესწავლის მიზნით, შექმნილია სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი კომისია (შემდგომში – კომისია)."

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეჟაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-18

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.250.050.36.101.010.081

### ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა დამტკიცდეს ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის თანდართული შემადგენლობა.
2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეჟაშვილი**

*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 28 თებერვლის*
*№ 2-18 გადაწყვეტილებით*

### ქ. თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობის შემადგენლობა

1. გამგებელი
2. გამგებლის მოადგილე (მიწათსარგებლობის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის დარგში)
3. გამგებლის მოადგილე (სოციალურ საკითხებში)
4. გამგებლის მოადგილე (საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში)
5. გამგეობის აპარატის უფროსი

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-19

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.250.030.36.101.010.083

### „ქ. თბილისის საკრებულოს წევრის ცალკეულ დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 30 სექტემბრის №16-1 გადაწყვეტილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

**1.** „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის საკრებულოს წევრის ცალკეულ დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2004 წლის 30 სექტემბრის №16-1 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**ა)** გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს:

ა) ქ. თბილისის საკრებულოს წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი №1 დანართის თანახმად;

ბ) ქ. თბილისის საკრებულოს ფრაქციის წევრის მიერ ფრაქციის სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების ნუსხა №2 დანართის თანახმად;

გ) ქ. თბილისის საკრებულოს მუდმივი კომისიის წევრის მიერ კომისიის სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა №3 დანართის თანახმად;

დ) ქ. თბილისის საკრებულოს წევრების საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა №4 დანართის თანახმად;

ე) დამტკიცდეს განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა №5 დანართის თანახმად."

**ბ)** ამოღებულ იქნეს გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი.

**2.** გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეჟაშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



**დანართი 1**

თ Iß I
. თ I IშIშ შ ღ შ
2007 ჭ Iშ 28 თ ღV Iშ
№ 2-19 ჭ V თI Iთ

## ქ. თბილისის საკრებულოს წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

1. განისაზღვროს საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა თვეში 1050 ლარის ოდენობით.

2. ხარჯების განსაზღვრა მოხდეს ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) უფლება მიეცეთ საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს, თითოეულ ფრაქციის წევრს ფრაქციაში მუშაობისთვის მისცენ არა უმეტეს 50 ლარისა, რისთვისაც გასაცემი თანხა გადაანაწილონ საკრებულოს წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულების რაოდენობაზე, თანახმად მე-2 დანართისა;

ბ) უფლება მიეცეთ საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, კომისიის თითოეულ წევრს კომისიაში მუშაობისთვის მისცენ არა უმეტეს 500 ლარისა, რისთვისაც გასაცემი თანხა გადაანაწილონ საკრებულოს წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულების რაოდენობაზე, თანახმად მე-3 დანართისა;

გ) დარჩენილი 500 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება მიეცეს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საკრებულოს მუდმივი კომისიებისა და ფრაქციის თავმჯდომარეების მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სახელზე წარდგენილი ნუსხის საფუძველზე.

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო) ცალკეული დავალებების შესრულების (ან შეუსრულებლობის) და ქ. თბილისის საკრებულოს სხდომებზე დასწრების მიხედვით ხელმოწერით ადასტურებს საკრებულოს წევრების (თანამდებობის პირთა ჩათვლით) ხარჯების ანაზღაურების ფორმას თანახმად მე-4 დანართისა და წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას წარუდგენს ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს თანახმად მე-5 დანართისა.

5. საკრებულოს თავმჯდომარე, ცვლილებებით ან უცვლელად, ამტკიცებს აღნიშნულ ფორმებს და გადასცემს საკრებულოს აპარატის შესაბამის განყოფილებას.

6. შ ღ შ ღ თIშ შ შ Iშ . შ ღ შ ჭ Vღშ შ ღ შ ღ თIშ ღღV VIშ თVIშ 3 თVIთ ღ ძღ ღ ჩ V - თ შ შღ Iშ თVIშ ჭ I X ღჟ I.“

**დანართი 2**

თ Iß I
. თ I IშIშ შ ღ შ
2007 ჭ Iშ 28 თ ღV Iშ
№ 2-19 ჭ V თI Iთ

## საკრებულოს ფრაქციის წევრის მიერ ფრაქციის სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ——————————————

საკრებულოს ფრაქცია ————————————————— წარმოგიდგენთ ფრაქციის წევრების ფრაქციის სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას:

200 წლის ———————— თვე

| N | ფრაქციის წევრის გვარი, სახელი | სხდომებზე დასწრება | | | განსახილველ საკითხებში მონაწილეობა | | გასაცემი თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სხდომათა რაოდენობა | დასწრების რაოდენობა | საპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა | უნდა შეესწავლა საკითხი | შეისწავლა საკითხი | |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |

ფრაქციის თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა):
————————————————————————————————-

**შენიშვნა: ფორმის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით”;**

**დანართი 3**

თ Iß I
. თ I IშIშ შ ღ შ
2007 ჭ Iშ 28 თ ღV Iშ
№ 2-19 ჭ V თI Iთ

## საკრებულოს მუდმივი კომისიის წევრის მიერ კომისიის სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ——————————

ქ. თბილისის საკრებულოს ——————————————— კომისია წარმოგიდგენთ წევრების სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას:

(200 წლის ——————— თვე)

| N | კომისიის წევრის გვარი, სახელი | განსახილველ საკითხებში მონაწილეობა | | გასაცემი თანხა |
|---|---|---|---|---|
| | | უნდა შეესწავლა საკითხი | შეისწავლა საკითხი | |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| 3 | | | | |
| 4 | | | | |

კომისიის თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა):
————————————————————————————————-

**შენიშვნა: ფორმის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით”;**

**დანართი 4**

თ Iß I
. თ I IშIშ შ ღ შ
2007 ჭ Iშ 28 თ ღV Iშ
№ 2-19 ჭ V თI Iთ

## ქ. თბილისის საკრებულოს წევრების საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

წარმოგიდგენთ ქ. თბილისის საკრებულოს წევრების საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას:

(200 წლის ——————— თვე)

| N | საკრებულოს წევრის გვარი სახელი | სხდომებზე დასწრება | | | განსახილველ საკითხებში მონაწილეობა | | გასაცემი თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სხდომათა რაოდენობა | დასწრების რაოდენობა | საპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა | უნდა შეესწავლა საკითხი | შეისწავლა საკითხი | |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (სახელი, გვარი, ხელმოწერა):
————————————————————————————————

**შენიშვნა: ფორმის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით”;**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576





*დანართი 5*
*თ Iჩ I*
*. თ I IშIშ შ ღ შ*
*2007 ჭ Iშ 28 თ ღV Iშ*
*№ 2-19 ჭ V თI Iთ*

**განხორციებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა**

ვამტკიცებ

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა):

___________________________________________

——— ————————— 200 წელი

განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა

| N | საკრებულოს წევრის გვარი, სახელი | მისაღები თანხის ოდენობა | | | | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოდან | კომისიიდან | ფრაქციიდან | სულ | |
| 1 | | | | | | |
| 2 | | | | | | |
| 3 | | | | | | |
| 4 | | | | | | |
| 5 | | | | | | |

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_______________________________________________“.

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-20

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.250.040.36.101.010.075

### „ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-5 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 13 ოქტომბრის №1-5 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

**ა)** მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკრებულოს წევრს საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის, ფრაქციის დავალებით ან დამოუკიდებლად უფლება აქვს:

ა) დაესწროს ქ. თბილისის მთავრობის და ქ. თბილისის რაიონის გამგეობის სხდომებს, დასვას საკითხი თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) კითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს, თანამდებობის პირებს და მიიღოს მათგან პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებულნი არიან ერთი კვირის ვადაში უპასუხონ საკრებულოს წევრის კითხვას. კითხვის ავტორთან, საკრებულოსთან ან საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ათი დღით.

გ) შეუფერხებლად შეხვდეს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

დ) უშუალოდ მონაწილეობდეს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში.“;

**ბ)** 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) საკრებულოს წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას;“;

**გ)** 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბიუროს სხდომები იმართება ყოველ ორშაბათს. ბიუროს რიგგარეშე სხდომების მოწვევის უფლებამოსილება გააჩნია საკრებულოს თავმჯდომარეს საჭიროებისამებრ.“;

**დ)** 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სიტყვას გადასცემს ასაკით უხუცეს საკრებულოს წევრს, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება სხდომას. უხუცესი წევრი საკრებულოს ერთ-ერთ წევრს ავალებს დროებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევამდე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციების შესრულებას.“;

**ე)** 74-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოსათვის სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენის უფლება აქვს:

ა) ქ. თბილისის მერს;

ბ) საკრებულოს ფრაქციას;

გ) საკრებულოს კომისიას;

დ) საკრებულოს წევრს;

ე) რაიონის გამგებელს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში;

ე) ქალაქ თბილისის არანაკლებ 3000 ამომრჩეველს, შესაბამის პეტიციაზე ხელმოწერის გზით.“;

**ვ)** 84-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 84

1. ნორმატიული აქტი საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერიდან 5 დღის ვადაში სარეგისტრაციოდ გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2. ნორმატიული აქტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეგზავნება 3 ეგზემპლარად (მათ შორის დედანი) აკინძული, საკრებულოს ბეჭდითა და საკრებულოს თავმჯდომარის ხელმოწერით დამოწმებული.“;

**ზ)** 87-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს აპარატის ფუნქციაა საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება.“;

**თ)** 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიების დავალებების შესრულებას;“;

**ი)** 90-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს აპარატში სტრუქტურული ერთეულების სახით შეიძლება განყოფილებები, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კომისიებისა და ფრაქციების სამდივნოები.“;

**კ)** 92-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრს, რომლის მიმართაც სხდომის დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, 3 თვით უარი ეთქმება 91-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებაზე.“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-22

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.250.050.36.101.010.082

### ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა დამტკიცდეს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თანდართული შემადგენლობა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 28 თებერვლის*
*№ 2-22 გადაწყვეტილებით*

**ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის შემადგენლობა**

1. გამგებელი
2. გამგებლის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში
3. გამგებლის მოადგილე სოციალურ საკითხებში
4. გამგებლის მოადგილე საბინაო-კომუნალურ საკითხებში
5. აპარატის უფროსი
6. სამხედრო განყოფილების უფროსი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576



# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-23

**28 თებერვალი 2007 წელი**
**09.03.07 წ.**
**010.250.050.36.101.010.076**

### ქ. თბილისში ლიტერატურული კონკურსის „გალა" მოწყობის შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ჰ" ქვეპუნქტის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

ა) ქ. თბილისში ყოველწლიურად მოეწყოს ლიტერატურული კონკურსი „გალა".

ბ) ყოველი წლის 1 სექტემბრამდე (კონკურსის მოწყობამდე) შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ჯგუფი 5 წევრის შემადგენლობით, რომელიც გაუქმდება ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ. სამუშაო ჯგუფმა შეისწავლოს და შეაფასოს გამომცემელთა მიერ წარმოდგენილი პროდუქცია (წიგნები, კრებულები და ა.შ.). აღნიშნული პროდუქციის გადაცემას სამუშაო ჯგუფისათვის უზრუნველყოფს ქ. თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისია (შემდგომში – კომისია);

გ) კომისიამ 2007 წლის 1 აგვისტომდე შეიმუშაოს და ქ. თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ლიტერატურული კონკურსის მოწყობის წესი და კონკურსის სიმბოლოს აღწერილობა;

დ) სამუშაო ჯგუფმა გამოავლინოს ერთი გამარჯვებული თითოეულ ნომინაციაში:

დ.ა) წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნი;

დ.ბ) წლის საუკეთესო თარგმნილი წიგნი;

დ.გ) წლის საუკეთესო წიგნი ბავშვებისათვის;

დ.დ) წლის საუკეთესო წიგნის მხატვრობა.

ე) ნომინაციაში გამარჯვებულს საჩუქრად გადაეცეს კონკურსის სიმბოლო და ფულადი პრემია 2500 ლარის ოდენობით;

ვ) ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოების ცერემონია გაიმართოს ყოველი წლის ოქტომბრის თვეში, თბილისობის დღესასწაულის დღეს;

ზ) ქ. თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ქ. თბილისის საკრებულოსთან შეთანხმებით განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის წევრების კანდიდატურები;

თ) ქ. თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსმა ქ. თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებების გაფორმება. სამუშაო ჯგუფის წევრის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურება განისაზღვროს არანაკლებ 580 ლარისა;

ი) ქ. თბილისის მთავრობამ ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ყოველწლიურად გაითვალისწინოს აღნიშნული კონკურსის მოწყობისათვის საჭირო თანხა.

კ) ამ გადაწყვეტილების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ. თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის, სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიამ.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

# ქალაქ თბილისის საკრებულო

## გადაწყვეტილება № 2-24

28 თებერვალი 2007 წელი
09.03.07 წ.
010.250.050.36.101.010.079

### ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა დამტკიცდეს ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის თანდართული შემადგენლობა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი**

*დანართი*
*დამტკიცებულია*
*ქ. თბილისის საკრებულოს*
*2007 წლის 28 თებერვლის*
*№ 2-24 გადაწყვეტილებით*

### ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის შემადგენლობა

1. გამგებელი
2. გამგებლის მოადგილე (საფინანსო-ეკონომიკური, სოციალური საკითხები)
3. გამგებლის მოადგილე (განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხები)
4. გამგებლის მოადგილე (მონიტორინგისა და ზედამხედველობის საკითხები)
5. გამგეობის აპარატის უფროსი
6. სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი
7. განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა განყოფილების უფროსი
8. მონიტორინგისა და ზედამხედველობის საკითხთა განყოფილების უფროსი
9. იურიდიული განყოფილების უფროსი
10. სამხედრო განყოფილების უფროსი.

## ინფორმაცია



### ქურდს ქუდი ეწვის

რუსეთის ცდილობს, ზემო აფხაზეთში მომხდარს გამართლება მოენახოს და შიდა გარჩევებს გადააბრალოს. თუმცა, მოკვლევის ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი ადგილზე შეისწავლის ვითარებას და დასკვნას წარმოადგენს. ამის შესახებ სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მერაბ ანთაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, გაეროს სამხედრო დამკვირვებლებთან ერთად, ზემო აფხაზეთში რუსეთის, საქართველოს და აფხაზეთის წარმომადგენლები გაემგზავრნენ.

– ადგილზე გაირკვევა ყველაფერი, რათა რაღაც მითიურ სვანურ შიდა გარჩევებზე ლაყბობა აილაგმოს. შეფასების შემდეგ გვექნება საშუალება, კონკრეტული პრეტენზიები წავუყენოთ იმ მხარეებს, რომლებიც აბსურდულ განცხადებებს აკეთებენ, – განაცხადა ანთაძემ.

მისივე თქმით, ასეთი პროვოკაციები არც მომავალშია გამორიცხული. მაგრამ საამისოდ მზად ვართ პოლიციური და სამხედრო თვალსაზრისითაც.

### კვლავ – ყაზარმული მდგომარეობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამოცხადებული ყაზარმული მდგომარეობა კვლავ ძალაშია.

სამინისტროს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამმართველოში განაცხადეს, რომ ყაზარმული რეჟიმი შენარჩუნებულია.

ამასთან, სამინისტროში ვერ აკონკრეტებენ, კიდევ რამდენ ხანს გასტანს იგი.

სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ დროისთვის არ იმყოფება არც ერთი სამხედრო ქვედანაყოფი და სამხედრო ტექნიკა.

– ის ტექნიკა, რომელიც დისლოკაციის ადგილიდან საწვრთნელ ბაზებზე იყო გადაყვანილი, კონკრეტულ დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნდა, – აცხადებენ თავდაცვის სამინისტროში.



### საგადასახო ინსპექციის 25 თანამშრომელი დააკავეს



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, თბილისის საგადასახო ინსპექციის 25 თანამშრომელი დააკავეს.

საგადასახადო ინსპექციის პრესსამსახურში გა-

ინტერპრეტაციისა და [illegible] მიხედვით

იონის საგადასახადო ინსპექციაში ერთდროულად განხორციელდა.

პექციის თანამშრომლები ქრთამის აღების დრ...

- კვირას ღამით კოდორის ხეობის რამდენიმე სოფელი დაიბომბა. ეს ინფორმაცია დაადასტურეს საქართველოს ოფიციალურმა პირებმა. როგორც ამტკიცებენ, ქვეყნის ტერიტორიაზე თავდასხმა განხორციელდა „რუსეთის მხრიდან“. მოსკოვი და თვითალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლება უარყოფენ თავიანთ მონაწილეობას ამ ინციდენტში.



## მოკლედ

უკრაინის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სარაკეტო თავდაცვის სისტემების განლაგება პოლონეთსა და ჩეხეთში შეესაბამება როგორც მთელი ევროპის, ისე უკრაინის ინტერესებს. ვიქტორ იუშჩენკოს აზრით, ნებისმიერი თავდაცვითი მოდელის განვითარება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, კიდევ უფრო განამტკიცებს მშვიდობის საფუძვლებს. უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ იანუკოვიჩის უარყოფით პოზიციას ევროპაში ამერიკული სარაკეტო თავდაცვითი ელემენტების განლაგების თაობაზე პრეზიდენტმა „არასწორი სიგნალი“ უწოდა.

* * *



შეერთებულ შტატებში 7 წლის გოგონა 222 კილოგრამს იწონის. კადრებზე, რომლებიც პირველად გადაიცა თებერვალში, შემზარავი სანახაობა წარმოგვიდგა თვალწინ. 7 წლის ჯესიკა, რომელსაც თავისი არანორმალური წონის გამო უკვე აღარ შეუძლია სიარული და ფეხზე დგომაც კი, სახლში გადაადგილებას მხოლოდ იატაკზე ფორთხვით ან დამჯდარი თუ ახერხებს.




* * *

მექსიკაში გაიმართა საპროტესტო მანიფესტაცია ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით. მეხიკოს მერიდის ცენტრალურ მოედანზე მანიფესტანტებმა მიტინგის დროს დაწვეს ამერიკული დროშა. „გრინფისის“ აქტივისტებმა კი მოაწყვეს სიმბოლური ქორწილი მსახიობებს შორის, რომელთაგან ერთი განასახიერებდა შეერთებული შტატების მეთაურს, მეორე კი მის მექსიკელ კოლეგას. შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტთან დაკავშირებით, მეხიკოში უშიშროების უპრეცედენტო ზომები მიიღეს.

* * *

რუსეთი და ირანი განაგრძობენ მოლაპარაკებას ბუშერის ატომური ელექტროსადგურის დაფინანსების შესახებ. კონსულტაციები დახურულ კარს მიღმა გაიმართება. ბუშერის ატომური ელექტროსადგურის დაფინანსების თაობაზე რუსეთის „ატომმშენექსპორტს“ და ირანის ისლამური რესპუბლიკის ატომური ენერგეტიკის ორგანიზაციას შორის უთანხმოებას პრინციპული ხასიათი აქვს, რადგან მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ ფინანსურ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში.

* * *

მაგატეს მეთაური ეწვია ჩრდილოეთ კორეას, რათა განამტკიცოს ექვსმხრივი მოლაპარაკების დროს მიღწეული წარმატება. ამ ქვეყანაში ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში მაგატეს გენერალური დირექტორი მუჰამედ ალ-ბარადეი განიხილავს ბირთვული პროგრამის შეწყვეტის თაობაზე ჩრდილოეთ კორეის ვალდებულებათა შესრულების გაკონტროლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა

**კვირა ღამე საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული აფხაზეთის კოდორის ხეობის ზედა ნაწილის მცხოვრებლებისთვის ნამდვილ კოშმარად იქცა.**

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები იტყობინებოდნენ, ხეობის ამ ნაწილს 40 წუთის განმავლობაში (მეორე ინფორმაციით – დაახლოებით ნახევარი საათის მანძილზე) მასირებულად უშენდნენ ცეცხლს. აფეთქებების ხმა ისმოდა სოფლებში ჩხალთაში, აჟარასა და გენწვისში. ჭურვების ნამსხვრევებით დაზიანებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ოფისი, ახალი სკოლის შენობა და სახლი, რომელშიც განლაგებულია ადგილობრივი პოლიციის განყოფილება. დაბომბვას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ დაშინებული მოსახლეობა, რომელმაც თავი შეაფარა მახლობელ ტყეებს, მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა სახლებში.

თბილისში დაუყოვნებელი რეაქცია მოახდინეს ამ ინციდენტზე. ქართულმა მხარემ ყოველივე ეს ჯერ კიდევ ღამით შეატყობინა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუს მშვიდობისმყოფელებს და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლებს, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ კი განაცხადა, რომ ქვეყნის მთელი შეიარაღებული ძალები საყაზარმო მდგომარეობაზეა გადაყვანილი. გადიდებულ მზადყოფნაში მოიყვანეს ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები.

ჯერ კიდევ ღამით, თბილისიდან რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, სენაკის ბაზაში გადაიყვანეს საბრძოლო ვერტმფრენები. აღსანიშნავია, რომ ერთმა ვერტმფრენმა ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე. როგორც ორშაბათს დილით გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, თბილისიდან დაახლოებით 50 კილომეტრზე, ბაზალეთის ტბის მიდამოებში განიცადა კატასტროფა ერთმა მი-24 ტიპის ვერტმფრენმა, რომლის სამკაციანი ეკიპაჟის ყველა წევრი დაიღუპა.

კოდორის ხეობის ზედა ნაწილისთვის ცეცხლის დაშენის ფაქტი ეჭვს არ იწვევს. მით უმეტეს, რომ ქართულმა ტელე არხებმა დილის გამოშვებებში ოპერატიულად გადასცეს ჭურვების ნამსხვრევებით დაცხრილური შენობების ამსახველი ფოტოსურათები. თუმცა, როგორც თავიდან იტყობინებოდნენ, საარტილერიო სროლის დროს გამოიყენეს მძიმე ქვემეხები, მათ შორის „გრადის“ ტიპის დანადგარები, ცეცხლი გახსნეს აფხაზმა სეპარატისტებმა ქალაქ ტყვარჩელის მხრიდან. მაგრამ, მოგვიანებით გამოჩნდა ასეთი ინციდენტებისათვის ტრადიციული „რუსული კვალი“. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის მეთაურმა შოთა ხიზანიშვილმა, ხეობისთვის ცეცხლის დაშენას წინ უძღოდა რესპუბლიკის საჰაერო სივრცის დარღვევა. „ხეობის თავზე გადაიფრინა რამდენიმე ვერტმფრენმა, რის შემდეგაც გაიხსნა ცეცხლი“, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

თბილისში არავის ეპარება ეჭვი იმაში, თუ რომელი მხრიდან შემოფრინდნენ კოდორის ხეობაში ეს ვერტმფრენები – რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან. ქართული მხარის სხვადასხვა მონაცემებით, საზღვრის დამრღვევ ვერტმფრენთა რიცხვი ხან სამი იყო, ხანაც – ექვსი. როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია ამტკიცებდა, ცეცხლი გახსნა ორმა რუსულმა ვერტმფრენმა, ორ სხვა საფრენ აპარატს ჩაკეტილი ჰქონდა ხეობის შესასვლელი, კიდევ ორი კი ასრულებდა ოპერაციის მხარდაჭერისთვის გამიზნულ ამოცანას.

ამავე დროს, მოსკოვსა და სოხუმში კატეგორიულად უარყოფენ მონაწილეობას ღამით განვითარებულ მოვლენებში. თუმცა, ოფიციალურ უარყოფაში რაღაც უზუსტობები მაინც გაიპარა. მაგალითად, თვითალიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ დაადასტურა, რომ კოდორის ხეობაში კვირას ღამით მართლაც ისმოდა სროლის ხმა, თუმცა იგი არ გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო რაღაც „საქმის გარჩევა“ ქართველ ძალოვანებსა და ადგილობრივ სვანებს შორის.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა სერგეი ჩაბანმა კი განაცხადა, რომ რუს სამშვიდობოებს საერთოდ არ დაუფიქსირებიათ არანაირი სროლა. „ამ რაიონში რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების არც თვითმფრინავებს და არც ვერტმფრენებს ღამის ფრენა არ შეუსრულებიათ“, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის მოადგილემ პოლკოვნიკმა ალექსანდრე დროზიშევსკიმ.

სამაგიეროდ, თვითალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ ყოველივე ამაში ქართული მხარე დაადანაშაულა. ლაკობას თქმით, ასეთი პროვოკაციები – იგულისხმება როგორც გალის რაიონი, ისე კოდორის ხეობის ზედა ნაწილი – თვით ქართული სპეცსამსახურების მიერ იყო ინსპირირებული. „ეს კეთდება იმის გამო, რომ არ შესრულდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია. საერთაშორისო გაერთიანება უნდა ჩაერიოს და აღკვეთოს ასეთი განუკითხაობა“, – მიაჩნია სტანისლავ ლაკობას.

მაგრამ ქართული მხარე, როგორც ჩანს, არ აპირებს რეაგირების გარეშე დატოვოს ეს ინციდენტი. 12 მარტს ნაშუადღევისთვის თბილისში დაბრუნდა რესპუბლიკის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. იგი პირდაპირ აეროპორტიდან გაემართა სახელმწიფო კანცელარიისკენ, სადაც სასწრაფოდ მოიწვია ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელიც დახურული რეჟიმით გაიმართა.

ამ მომენტისთვის, მართალია, არანაირი განცხადება არ გამოქვეყნებულა პრესაში, მაგრამ, არაოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტმა, როცა მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მოხსენება, უბრძანა თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს ცეცხლი გაუხსნას ყველა საჰაერო სამიზნეს, რომელიც უკანონოდ შემოიჭრება საქართველოს ამ ნაწილის საჰაერო სივრცეში.

მოვლენათა შემდგომი განვითარების მიუხედავად, საქართველოს მხარეს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი არგუმენტები გამოუჩნდა იმისთვის, რომ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე განალაგონ შეერთებული შტატების სარაკეტო თავდაცვის ძალები.

**ანატოლი გორდიენკო,**
**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ газета

# ვინ ბომბავდა აფხაზეთს?

**კვირას ღამით კოდორის ხეობის რამდენიმე სოფელი დაიბომბა. ეს ინფორმაცია დაადასტურეს საქართველოს ოფიციალურმა პირებმა. როგორც ამტკიცებენ, ქვეყნის ტერიტორიაზე თავდასხმა განხორციელდა „რუსეთის მხრიდან“. მოსკოვი და თვითალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლება უარყოფენ თავიანთ მონაწილეობას ამ ინციდენტში.**

„ჩვენ გვაქვს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ვერტმფრენები ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოფრინდნენ თვითალიარებული რესპუბლიკის მხრიდან“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ნიკოლეიშვილმა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის კარგად ინფორმირებული წყაროც ამტკიცებს, რომ ვერტმფრენები ხეობაში შემოვიდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან. „იქ არის ერთი ადგილი ყარაჩაი-ჩერქეზეთის საზღვრის მონაკვეთზე, საიდანაც სულ 15 კილომეტრია რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოს საზღვრამდე. ვერტმფრენები იმ ტერიტორიიდან შემოვიდნენ. აფხაზეთის ტყვარჩელის რაიონიდან კი „გრადის“ ტიპის დანადგარებით მიმდინარეობდა საარტილერიო სროლა. ერთი რამ ძალზე საინტერესოა: დაბომბვა ჰაერიდან და საარტილერიო სროლა პრაქტიკულად ერთსა და იმავე დროს ხდებოდა. მაშასადამე, რუსების და აფხაზების ქვედანაყოფები, რომლებიც ტყვარჩელის რაიონში იმყოფებოდნენ, თითქმის სინქრონულად მოქმედებდნენ“, – თქვა მან.



განცხადებას იმის თაობაზე, რომ რუსულმა ვერტმფრენებმა დაბომბეს კოდორის ზემო ნაწილი, რუსულმა მხარემ უწოდა აბსურდული და აღნიშნა, რომ ამას არანაირი საფუძველი არ გააჩნია. თავისი მოსაზრება გამოთქვა რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ვალერი ევნევიჩმაც. როგორც მან აღნიშნა, რადგან მთებში ამინდის პირობები ცუდია, ხოლო აფხაზეთში დისლოცირებული სამშვიდობო ძალების ვერტმფრენების ტექნიკური შესაძლებლობები არ იძლევა ამ საფრენოსნო აპარატების ღამით გამოყენების შესაძლებლობას, რუსეთის მხრიდან ვერტმფრენების შემოსვლა შეუძლებელი იყო.

თუმცა, საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ არაერთხელ აღნიშნა, რომ ეს ვერტმფრენები აღჭურვილი იყვნენ ღამით ფრენისთვის საჭირო ხელსაწყოებით, რომლებიც გააჩნია რუსეთის სამხედრო ავიაციას.

მოსკოვის განცხადებას ხმა აუწყო თვითალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმაც, რომელმაც საქართველოს ხელმძღვანელობას ურჩია, რომ მოსკოვის და სოხუმის დადანაშაულების ნაცვლად, „გაარკვიოს ურთიერთობა კოდორის ხეობის ზემო ნაწილის სვან მოსახლეობასთან“.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზემო აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შეწყვიტა ვიზიტი იაპონიაში.

12 მარტს თბილისში დახურულ კარს მიღმა გაიმართა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა.

ახლა სიტუაციას ადგილზე შეისწავლიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის წარმომადგენლები.

**ირინე ბარამიძე**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

# სპორტი



ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებმა უწყიან, რომ გასულ კვირას თბილისში დღენახევრიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა უეფას ახალი პრეზიდენტი, სახელოვანი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი. მან ორი წლის წინანდელი პირობა შეასრულა — უეფას თავკაცად არჩევის შემთხვევაში პირველად საქართველოს ვეწვევიო. ასეც მოხდა

**მოვლენის შემდეგ**

## ამ სტადიონზე უეფას თასის ფინალის გამართვა რეალურია

**ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებმა უწყიან, რომ გასულ კვირას თბილისში დღენახევრიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა უეფას ახალი პრეზიდენტი, სახელოვანი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი. მან ორი წლის წინანდელი პირობა შეასრულა — უეფას თავკაცად არჩევის შემთხვევაში პირველად საქართველოს ვეწვევიო. ასეც მოხდა.**

დროის სიმცირის მიუხედავად, საპატიო სტუმარმა ბევრი რამის დათვალიერება მოასწრო, ეროვნული სტადიონისაც და მოიხიბლა კიდეც. შეხვდა ჩვენს ცნობილ ფეხბურთელებს, მთავრობის მაღალჩინოსნებს, მათ შორის — ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს.

საინტერესო, გულახდილი დიალოგი გაიმართა უეფას პრეზიდენტსა და ქართული მასმედიის წარმომადგენლებს შორის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში. ამ შეხვედრაზე პლატინიმ მრავალ კითხვას უპასუხა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ რეალურად მიაჩნია ჩვენს სტადიონზე უეფას თასის ფინალური ორთაბრძოლის ჩატარება. ალალად აღიარა, რომ მხარს არ უჭერს ფრანც ბეკენბაუერის ცნობილ შეხედულებას — გერმანია და საქართველოს დონის გუნდები ერთად არ უნდა თამაშობდნენო. პირიქით, პლატინის აზრით, ძლიერი და სუსტი მოედანზე ირკვევა და სწორედ იქ უნდა დაამტკიცონ გერმანიამაც და საფრანგეთმაც, ვინ ვინ არის.

ჟურნალისტებს აინტერესებდათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიზრდება თუ არა გუნდების რაოდენობა, რაზეც უეფას პრეზიდენტმა დაუფიქრებლად უპასუხა — ეს, ალბათ, 2016 წლისთვის თუ მოხერხდება, მანამდე კი გამორიცხულიაო. ისიც შევიტყვეთ, პლატინი საკლუბო გუნდებში ხუთი ლეგიონერის თამაშის მომხრეა, ანუ „6+5" სისტემას უჭერს მხარს, თუმცა ევროპული წესების წინააღმდეგ გალაშქრებას არ აპირებს...

პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ უეფას პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად ათენში გაფრინდა, სადაც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრების კენჭისყრას დაესწრო.

**აქვე გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ვაჟა დანელიას ფოტოებს, რომლებზეც აღბეჭდილია მიშელ პლატინის შეხვედრა ზურაბ ნოღაიდელთან, სახელოვან ქართველ ფეხბურთელებთან — ალექსანდრე ჩივაძესა და რევაზ ჩელებაძესთან; უეფას პრეზიდენტისა და ნოდარ ახალკაცის პრესკონფერენცია.**









**ორბიტაზე**

## ვიში ანანდის ტრიუმფი

**რუსეთელი ალექსანდრე მოროზევიჩის დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა მორელია — ლინარესის საჭადრაკო სუპერტურნირის მეორე, ესპანური ნაწილის მე-13 და მე-14 ტური.** რუსეთელმა დიდოსტატმა ჯერ მსოფლიო ექს-ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი დაამარცხა მარათონულ პარტიაში — მეოთხმოცე სვლაზე, შემდეგ კი შედარებით „იოლად" — 28-ე სვლაზე „შავებით" დააყრევინა „ფარხმალი" თანამემამულე პეტრე სვიდლერს და 7,5 ქულით ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილესთან, ნორვეგიელ მანგუს კარლსენთან ერთად, მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩა ტურნირის ლიდერს ვიში ანანდს.

მე-13 ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ ანანდი და ლეკო, კარლსენი და სვიდლერი, არონიანი და ივანჩუკი.

მე-14 ტურში კი ლეკომ დაამარცხა კარლსენი, ხოლო დაზავდნენ ივანჩუკი და ანანდი, ტოპალოვი და ივანჩუკი.

ამრიგად, ტურნირის გამარჯვებული 8,5 ქულით ინდოელი დიდოსტატი ვიში ანანდია. მან დაისაკუთრა სუპერტურნირის მთავარი პრიზი — 100 ათასი ევრო და ფიდეს მსოფლიო რეიტინგის პირველი ადგილიც.

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა — 7,5 ქულა — კარლსენი, მოროზევიჩი, 7 ქულა — სვიდლერი, არონიანი, 6,5 ქულა — ივანჩუკი, 6 ქულა — ლეკო და ტოპალოვი.

## სარა ტომაზის პრობლემები

**ფეხბურთელთა მოყვარულად და მათი გულების მპყრობელად აა აღიარებული იტალიის ყველაზე სექსუალური მოდელი სარა ტომაზი.** 25 წლის ლამაზმანის ბადეში ადრე გაებნენ კრისტიან ვიერი, ფაბიო გალანტე, ფილიპო ინძაგი, ამ ბოლო დროს კი „ლაციოს" მოთამაშე, წარმოშობით კოსოვოელი ალბანელი, ამჟამად შვეიცარიელი ნახევარმცველი ვალონ ბეჰრამი. თუმცა ბოლო დროს სარამ მასზეც გული აიყარა, რადგან ძალზე ახალგაზრდად და საოჯახო ცხოვრებისთვის გამოუსადეგარად მიიჩნია.

„მე სერიოზული ურთიერთობა მსურს, მინდა ოჯახი შევქმნა და დედა გავხდე, — განაცხადა სარამ, — მაგრამ არ მყავს ადამიანი, ვისთანაც მთელი სიცოცხლე ვიცხოვრებდი. მინდა, მიყვარდეს და ვუყვარდე".

ეს ხომ ჩვეულებრივი ქალური პრობლემებია. მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ტომაზის კანდიდატების პრობლემა არ ექნება. ისინი, შესაძლოა, რიგშიც კი ჩააყენოს.



**ჭადრაკი**

## ჩემპიონი დღეს გამოვლინდება

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი გუშინ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო ტურის შემდეგ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩემპიონის გამოსავლენად ტაი-ბრეიქების გამართვა გახდა საჭირო.**

მე-11 ტურში ლიდერებმა — სოფიკო ხუხაშვილმა და ლელა ჯავახიშვილმა, შესაბამისად, ნინო ბაციაშვილი და ნანა ძაგნიძე დაამარცხეს და 7,5-7,5 ქულით I-II ადგილები გაინაწილეს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელებს ტაი-ბრეიქები გამოავლენს. რაც შეეხება „ბრინჯაოს", იგი ხვდა სოფიო გვეტაძეს, რომელიც ნინო ხურციძეს დაუზავდა და 7 ქულა მოაგროვა. საგულისხმოა, რომ სამივე პრიზიორს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია დრეზდენში ევროპის ჩემპიონატზე (2-16 აპრილი) გასამგზავრებლად დააფინანსებს.

რაც შეეხება ბოლო ტურის დანარჩენ შეხვედრებს, თამარ წერეთელმა მაია ლომინეიშვილი დაამარცხა, სალომე მელიამ ინგა ჭარხალაშვილს მოუგო, ხოლო მირანდა მიქაძე და მაკა ფურცელაძე დაზავდნენ.

* * *

**დღესვე თბილისის ჭადრაკის სასახლეში სტარტს აიღებს საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სისტემით ბადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ლევან ფანცულაია, გია გიორგაძე, გიგა ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, დავით არუთინიანი, გაიოზ ნიგალიძე, პარმენ გელაზონია, ლევან აროშიძე და შოთა აზალაძე ითამაშებენ. შეხვედრები 14 საათზე დაიწყება.**



**ოლიმპიზმი**

## ასე სჭირდება კავკასიის რეგიონს



**საქართველოს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ სოჭში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება ხელს შეუწყობს მთელს კავკასიის რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციას, — იტყობინება სააგენტო „საქართველოს ახალი ამბები".**

„მე ძალიან მსურს რუსეთმა მიიღოს ეს უფლება, — უთხრა სააკაშვილმა ჟურნალისტებს თბილისში, — მართლაც ძალზე მინდა და მხარს ვუჭერ მთელი სულითა და გულით. ოლიმპიური თამაშები კავკასიის რეგიონში, რომელიც, დიდი ხანია, აღიქმება, როგორც არასტაბილურობის ზონა, ხელს შეუწყობს მშვიდობიან განვითარებას, ხალხთა შორის ურთიერთგაგებას".

**ტურნირი**

## რამაზ შენგელიას სახელობისა

**წლეულს გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს" ყოფილ მოთამაშეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ რამაზ შენგელიას 50 წელი შეუსრულდა, რაც ჩვენმა სპორტულმა სამყარომ სათანადოდ აღნიშნა. ბატონ რამაზის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და სასამართლო ორგანოების მინიფეხბურთელთა ტურნირი, რომელსაც ათი დღის განმავლობაში არმიის სასპორტო კლუბის დარბაზი მასპინძლობდა.**



ასპარეზობის ორგანიზატორები იყვნენ საჯარო მოსამსახურეთა და სპორტისა და სპორტსმენთა პროფესიული კავშირები (თავმჯდომარეები — ნუგზარ ჭინჭარაული და იროდი ბეჟაშვილი). ამგვარი პაექრობები მათი ინიციატივით ბოლო ათი წელიწადია, ტრადიციად იქცა, რაც ხელს უწყობს სამინისტროებში, დეპარტამენტებსა და სახელმწიფო უწყებებში მინიფეხბურთის დანერგვას, საჯარო მოსამსახურეთა აქტიურ სპორტში მასობრივ ჩაბმასა და მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას. ახლაც ტურნირში მონაწილე გუნდების დასაკომპლექტებლად შიდასაკოლექტივო ორთაბრძოლებში ასობით ადამიანი მონაწილეობდა...

რამაზ შენგელიას სახელობის თასის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ შინაგან და საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ეკონომიკური განვითარების, თავდაცვის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, სააპელაციო სასამართლოს და თბილისის მერიის წარმომადგენლები.

დაძაბული ჯგუფური პაექრობების შემდეგ ფინალში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის მერიის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა. პენალტებით გაიმარჯვა (3:2) მერიის ნაკრებმა და მთავარი პრიზიც მოიპოვა. მეორე ადგილი, ცხადია, ძალოვნებს ხვდათ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჯანდაცვის სამინისტროს ფეხბურთელებმა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს აჯობეს — 7:4.

ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელებისთვის დაწესებული პრიზები დაიმსახურეს ჯაბა მაღლაკელიძემ (შსს), არჩილ ჩიხლაძემ (თავდაცვის სამინისტრო), კოტე ოჩიგავამ (ჯანდაცვა), ლევან გვაზავამ (შსს). ბომბარდირი გახდა თემურ გიორგაძე (მერია). საუკეთესო მწვრთნელად და მსაჯად „შესაბამისად, ზაალ თურმანიძე (შსს) და გურამ ნიკოლაიშვილი დაასახელეს.

გამარჯვებულ გუნდებსა და საუკეთესო ფეხბურთელებს პრიზები და ფასიანი საჩუქრები იროდი ბეჟაშვილმა, ნუგზარ ჭინჭარაულმა, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ტარიელ მგელაძემ და კახი ასათიანის საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი ჩოლარიამ გადასცეს.

● ახლახან დედაუნივერსიტეტმა გამოჩენილ ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს უმასპინძლა. ის საღამო ბატონი ოტიას თხზულებათა ექვსტომეულის გამოცემას მიეძღვნა, თუმცა, საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა: მწერალიც და დარბაზში შეკრებილი ადამიანებიც საქართველოზე, მის დღევანდელობასა და მომავალზე მსჯელობდნენ, ფიქრობდნენ და კამათობდნენ...



◎ შეხვედრა

# მშობელ ხალხს ანგარიშს აბარებს ოტია იოსელიანი

**ახლახან დედაუნივერსიტეტმა გამოჩენილ ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს უმასპინძლა. ის საღამო ბატონი ოტიას თხზულებათა ექვსტომეულის გამოცემას მიეძღვნა, თუმცა, საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარიმართა: მწერალიც და დარბაზში შეკრებილი ადამიანებიც საქართველოზე, მის დღევანდელობასა და მომავალზე მსჯელობდნენ, ფიქრობდნენ და კამათობდნენ...**

**აქ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველი მწერალი თავისი ხალხის გულის მესაიდუმლე უნდა იყოს, სხვაგვარად მის ქმნილებებს ხალხი ვერ შეიყვარებს, ის ვერ გახდება ახლობელი, ძვირფასი ადამიანი თავისი ერისთვის.**

**ოტია იოსელიანმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ თანამედროვე საქართველოში წიგნს არ კითხულობენ, ბიბლიოთეკები ცარიელია. მცხეთაში, საქართველოს უძველეს დედაქალაქში, რომელიც ჯერ კიდევ 26 საუკუნის წინათ ითვლებოდა კულტურის კერად, არც ერთი წიგნის მაღაზია არ არის. რა ქვეყანას ვაშენებთ ჩვენ წიგნიერების, სულიერების გარეშე? რა ქვეყანას ვაშენებთ ისეთს, სადაც არ იქნება საჭირო არც თოხი, არც ბარი, არც გამომცემლობა, არც განათლება და მეცნიერება? — გულისტკივილით აღნიშნა ბატონმა ოტიამ. მან, ცხადია, ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რომლებიც თანამედროვე ეპოქამ მწერლებს შეუქმნა.**

**რამდენიმე კითხვით მივმართეთ მწერალს.**

**— ბატონო ოტია, როგორ შეაფასებდით ექვსტომეულს, რა სახის თხზულებებია შეტანილი მათში?**

— ეს არის აკადემიური გამოცემა, სადაც ძირითადად ჩემი მხატვრული ნაწარმოებებია შეტანილი. მწერლის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როდესაც თავის ხალხს უნდა ჩააბაროს ანგარიში, უნდა მოუყაროს თავი საკუთარ თხზულებებს, დაამუშაოს, დახვეწოს და ასე წარუდგინოს საზოგადოებრიობას. ეს ექვსტომეულიც, ალბათ, ერთგვარი ანგარიშია ჩემი ხალხის წინაშე.

**— ალბათ, მისი გამოცემა ადვილი არ იყო...**

— მრავალტომეულის გამოცემა არასოდეს არ ყოფილა ადვილი, მით უმეტეს — დღეს, როდესაც ქაღალდი ძვირს, გამომცემლობებს კი ფინანსური პრობლემები აქვს. ძალიან დამეხმარა კერძო გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, რომელსაც ამ ექვსტომეულის გამოცემით არანაირი მოგება არ უნახავს. იძაურებმა გადაწყვიტეს ეჩუქებინათ ქართველი მკითხველისთვის ეს გამოცემა, მოგება კი სხვაგან ექებნათ.

ექვსტომეულში თავმოყრილია ყველა რჩეული თხზულება, რაც მე დამიწერია შემოქმედებითი გზის დასაწყისიდან დღემდე.

**— დაბოლოს, ბატონო ოტია, ნახევრადხუმრობით მინდა გკითხოთ: რა აზრისა ხართ იმ პაროდიებზე, რომლებსაც ქართველი მსახიობები თქვენზე იგონებენ, ხომ არ გწყინთ, როცა გბაძავენ?**

— მეც ნახევრადხუმრობით გიპასუხებთ: მაგენი ჩემი მეორე ნახევრებია, მაგენი ძეიფობენ ჩემს ნასუფრალზე, მე კი მშიერი დავდივარ.

მიბაძვისა და ხუმრობის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, მთავარია, ეს პაროდიები უწმაწურობაში არ გადადიოდეს და ზომიერი იყოს.

ესაუბრა
**ხათუნა ჩიგოგიძე**

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

◎ ფესტივალი

# როცა სცენაზე მაყურებელი ადის...

**რა პრობლემები და საკითხები წარმოადგინეს მაყურებელთა სამსჯავროზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდა მსახიობებმა სცენაზე და როგორი იყო მაყურებლის რეაქცია, უფრო სწორედ, როგორ გაიაზრა და რა გზას მიმართა მან ამ პრობლემების გადასაწყვეტად, რა მოიმოქმედა თავად მაყურებელმა სცენაზე წარმოდგენილ სიტუაციებში და რა რეალური გამოსავალი მოძებნა ერთი შეხედვით, თითქოს გამოუვალი მდგომარეობიდან? ინტერაქტიული თეატრის — ამ ექსპერიმენტის მონაწილე მაყურებელმა კი საამისოდ ხან დიალოგს მიმართა სპექტაკლის პერსონაჟებთან, ხანაც თავად ჩაენაცვლა მსახიობებს სცენაზე.**

პიესის პერსონაჟებსა და მაყურებელს შორის აქტიურ ურთიერთობას ითვალისწინებდა სწორედ ინტერაქტიული თეატრის ერთწლიანი პროექტი, რომელიც ბრიტანეთის საბჭომ განახორციელა. ამ პროექტის ბოლო ეტაპამ ფესტივალის სახე მიიღო და მას თბილისმა — მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში უმასპინძლა. ფესტივალმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს თეატრალური ხელოვნება მოიცვა და თითოეულმა ქვეყანამ თითო დრამატული ნაწარმოები წარმოადგინა.

სამხრეთ კავკასიის ინტერაქტიული თეატრის პროექტი შთაგონებული იყო „Theatre for Change“-ის მიერ რომელიც დაარსდა 2003 წელს თბილისში ლალი მესხისა და ქერენ ჩეპმენ კლარკის (ლონდონის პროფესიონალი მსახიობი, თეატრალური საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარის ხელმძღვანელიძ მიერ. ეს იყო პირველი თეატრალური კამპანია საქართველოში, რომლის დროსაც მაყურებელს ჰქონდა სცენაზე ასვლისა და პიესის მოქმედებაში უშუალო მონაწილეობის უფლება. პროექტს თავდაპირველად მხარს უჭერდა ბრიტანეთის საბჭო საქართველოში, ხოლო შემდეგ წლებში, ბრიტანეთის საბჭომ დაიწყო მსგავსი ინტერაქტიული თეატრის პროექტის განხორციელება აზერბაიჯანსა და სომხეთში.

— ინტერაქტიული თეატრის პროექტის საერთო მიზანია მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ საზოგადოებრიობის ინფორმირება დრამის საშუალებით, მაყურებელთა დრამაში უშუალო ჩართვის გზით. აღნიშნულ წარმოდგენებში გამოყენებული მეთოდი, რომელსაც ფორუმის თეატრი ეწოდება, ეხმარება საზოგადოებას თავიანთი სოციალური პრობლემების მოგვარებაში. მაყურებელს ეძლევა საშუალება, წარმოადგინოს პიესის ალტერნატიული განვითარება ან დასასრული, რითაც იცვლება მთავარი მოქმედი გმირების ცხოვრება, — ასე ფიქრობს ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიაში **ენდი უილიამსი.**

ფესტივალში მონაწილე აზერბაიჯანელმა მსახიობებმა წარმოადგინეს ირადა გოზალოვას პიესა „გამოსავალი“, რომელიც დადგა რეჟისორმა ტარლან რასულზადემ და რომლის პრემიერაც გაიმართა 2006 წლის ნოემბერში ბაქოს საბავშვო თეატრში, შემდეგ იგი უჩვენეს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქშიც. პიესის მთავარი გმირი ექცევა ისეთ უმწეო მდგომარეობაში და ისეთ წრეში, საიდანაც გამოსავალი თითქოს არ ჩანს. მაყურებელმა გმირს სხვადასხვა გზა უკარნახა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი მაინც მას ეკუთვნის.

ახალგაზრდა სომეხმა მსახიობებმა ჰაიკ სეკოიანის სცენარითა და რეჟისორობით სცენაზე გაითამაშეს დრამა, რომელიც მიიჩნიეს, რომ ყველაზე უფრო ნიშანდობლივია მათი ქვეყნისთვის. შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ერთ დროს ბედნიერი ოჯახი როგორ აღმოჩნდა უიმედო მდგომარეობაში. სპექტაკლის ინტერაქტიულ ნაწილში, მაყურებლებმა საკუთარი მოსაზრებები აქტიურად წარმოადგინეს.

ქართველმა მსახიობებმა გიორგი ზანგურის მიერ აქტუალურ თემაზე შექმნილი პიესა გააცოცხლეს სცენაზე. „დონორები“ — ასე ჰქვია პიესას, რომელშიც სამი ქუჩის ბავშვის ბარჩანას, თამარასა და მახარეს ამბავია ნაამბობი. იგი ვანო ხუციშვილმა დადგა და თბილისის გარდა გორში, ახალციხესა და ქუთაისში უჩვენეს. მსახიობებმა: გოჩა აბზიანიძემ, ვაჟა იარალიშვილმა, ნათია კევლიშვილმა, ნუცა სულაბერიძემ, შორენა მამრიკიშვილმა, გიორგი დევაძემ და გია საგინაშვილმა გულწრფელად გაითავისეს თავიანთი გმირების ხვედრი.

— ჩვენ ვეძებთ რეალურ გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან, — მიმართა წამყვანმა გიორგი დევაძემ საღამოს მეორე ნაწილში დარბაზს და სცენაზე უხმო მაყურებელს, იმანაც არ დააყოვნა. საგულისხმოა, რომ ინტერაქტივში აქტიურობით გამოირჩეოდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები. ყველამ თავისი ვერსია წარმოადგინა, მათ შორის საუკეთესო გამოსავალი კი დარბაზმა ხელის აწევით დაადასტურა.

**— ფესტივალი დასრულდა, თუმცა ამ ექსპერიმენტმა პირველად შეყარა ერთ თეატრალურ სივრცეში სამი ქვეყნის ახალგაზრდები. თითოეულმა დასმა წარმოადგინა ის პრობლემები, რომლებიც მათი ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. პროექტი ხვალ და ზეგ ისევ გაგრძელდება, ისინი შექმნიან ერთობლივ ნამუშევარს ახალი ერთობლივი თეატრალური ენის გამოყენებით. ამ პროექტის მთავარი იდეაა არჩევანის უფლება და არჩევანის გავლენა ცვლილებებსა და განვითარებაზე. ამ იდეის დანერგვის მცდელობით ახალგაზრდა მსახიობები „კულტურული მებრძოლნი“ და „ცვლილებების აგენტები“ ხდებიან და, სავარაუდოდ, ზოგიერთი მათგანი ახალი თაობის მომავალი ლიდერი შეიძლება გახდეს,** — აღნიშნა ფესტივალის დასასრულს პროექტის ხელმძღვანელმა **ქერენ ჩეპმენ კლარკმა.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**





**სურათებზე: ფესტივალის მონაწილე სომხური დასის წევრები; სცენა ქართული სპექტაკლიდან „დონორები“.**

● რა დრო გასულა, ჩვენი „ბელკანტო“ უკვე 70 წლისაა, აქედან 45 წელი საოპერო სცენაზე მოღვაწეობს, 35 წელიწადია, დიდ თეატრში მღერის



ზურაბ სოტკილავა – 70

# კინდღის წვიმა, ევკალიპტის სურნელი...

**იმ საღამოს კიდევ ერთხელ დადასტურდა ტელევიზიის უპირატესობა პრესასთან შედარებით. წამში ჩართო „ტელეიმედზე“ მოსკოვი ეკა ხოფერიამ და დაბადების 70 წლისთავი მიულოცა სახელგანთქმულ ტენორს, ჩვენს ქვირფას ზურაბ სოტკილავას.**



აი, ოპერატიულობა, რასაც გაზეთი, სამწუხაროდ, თითქმის მოკლებულია, მით უმეტეს, თუ რესპონდენტი საზღვარგარეთებულება.

მაგრამ, ნურას უკაცრავად, პრესა ხომ მემატიანეა და, მეორე დღეს, ვფურცლავ 29 წლის წინანდელ გაზეთ „კომუნისტს“, სადაც ზურაბ სოტკილავას ინტერვიუა დაბეჭდილი თქვენს მონა-მორჩილთან. იგი 1978 წლის აგვისტოში აფხაზეთში, კინდღშია (ნეტა იმ დროსძ ჩაწერილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახალდაბრუნებულ მომღერალთან (სასწრაფოდ გამაგზავნა „კომუნისტის“ რედაქტორმა, ბატონმა დავით მჭედლიშვილმა, რომელსაც, თურმე, ცეკაში უსაყვედურეს, გადარია ამერიკა ზურაბ სოტკილავამ და თქვენ რატომ არ გამოეხმაურეთოძ.

ჰოდა, გაზეთის უკვე გაყვითლებულ გვერდზე დაბეჭდილმა ამ მასალამ ფიქრები ამიშალა.

...კინდღში წვიმდა. მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთ კოტეჯში მომღერალი ოჯახით ისვენებდა. ტაბლასთან ვისხედით, ჭაჭის არაყს შევექცეოდით და ზურაბის ქუთაისელი სიდედრის მოხარშულ ჭყინტ სიმინდსა და კვახს ვაყოლებდით. მასპინძელი ოდნავ წრუპავდა არაყს და, ამაზეც, მისი მეუღლე, ქალბატონი ელისო, ცხადია, წუხდა, კარგი რა ზურიკოო.

სასიამოვნო გარემო იყო. გარეთ წვიმდა და ღია ფანჯრებიდან ევკალიპტების სურნელი ოთახში შემოდიოდა.

– უკვე რამდენიმე წელია ზაფხულს აქ ვატარებ, – მიამბობდა ზურაბი, – ეტყობა, ევკალიპტი ძალზე ასუფთავებს ფილტვებს. სეზონის დაწყების წინ სამედიცინო შემოწმებისას ყველას უკვირს: ასეთ ადგილას სად ისვენებ, ფილტვები საბერველივით რომ გაქვსო.

მერე ამერიკა და გასტროლები გაიხსენა, დეტროიტში მუსიკალურ ფესტივალზე ვიყავიო, ვერდის „რეკვიემი“ შევასრულეო, შემდეგ ფილადელფიაშიც ვიმღერე „რეკვიემიო“.

მერე გაზეთი „ჰერალდ ტრიბუნი“ მომაწოდა, რომელიც აღფრთოვანებით წერდა ზურაბ სოტკილავას პარიზულ გასტროლებზე. ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, გაიხსენა ახალგაზრდობა და ის პერიოდი, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში რომ თამაშობდა. ხოზეს, მანრიკოს, რადამესის, რიჩარდის, ოტელოს პარტიებიდან ოტელო გამოჰყო, ძალიან მიყვარსო. ოტელოს ხსენებაზე სიდედრმა იხუმრა, ქუთაისში ოტელოს სიდედრს მეძახიანო...

ერთი სიტყვით, დაუვიწყარი დღე იყო. რაც მთავარია, იქაურობა, უმშვენიერესი აფხაზეთი არ იყო ასე გაუცხოებული და შორეული...

რა დრო გასულა, ჩვენი „ბელკანტო“ უკვე 70 წლისაა, აქედან 45 წელი საოპერო სცენაზე მოღვაწეობს, 35 წელიწადია, დიდ თეატრში მღერის.

...ტელეეკრანზე ჩანდა, რომ იგი დღესაც საუკეთესო ფორმაშია ფიზიკურად, ხოლო, სრულიად უნიკალური მისი ტენორით, კვლავაც მრავალ გულშიჩამწვდომ მელოდიას მოვისმენთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

უმაღლესი ზომა

## გოგი ხარაბაძის ვაჟის მკვლელობაში ბრალდებულს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს

**„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ბრალდებულს, რომელსაც ხუთი ადამიანის გატაცება და მკვლელობა დაუმტკიცდა, სიკვდილით დასჯის განაჩენი ფედერალურმა მოსამართლემ გამოუტანა.**

სააგენტო იუწყება, რომ სლავური წარმოშობის იურიუს კადამოვასის სიკვდილით დასჯის განაჩენი, პირველი შემთხვევაა ბოლო 50 წლის განმავლობაში, რაც კალიფორნიის ცენტრალურ ოლქში გამოიტანეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა კადამოვასმა, ტელეპროდიუსერ საფაროვის ხელში ჩაგდების მიზნით ხუთი ადამიანი, მათ შორის ნიკოლოზ ხარაბაძეც გაიტაცა, გამოსასყიდად 1 მილიონ 200 ათასი დოლარი აიღო, მოგვიანებით კი გატაცებულთა გვამები კალიფორნიის ერთ-ერთ წყალსაცავში ჩაყარა.

**ინტერპრესნიუსი**

---

ხსოვნა

## როინ გახოკიძე



**გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი მუშაკი, პოლკოვნიკი როინ მიხეილის ძე გახოკიძე, შესანიშნავი პიროვნება, ღირსეული მოქალაქე, უაღრესად თბილი, მშვიდი, თავმდაბალი და პრინციპული ადამიანი.**

**როინ გახოკიძე დაიბადა 1938 წელს ქ. თბილისში. 1956 წელს დამთავრა ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა და ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1961 წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში უფროს ინჟინრად. 1963 წელს გადაიყვანეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სადაც 31 წლის მანძილზე გაიარა სხვადასხვა თანამდებობები გამომძიებლიდან მილიციის უფროსამდე.**

**როინ გახოკიძე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მრავალჯერ დაჯილდოვდა ორდენებით, მედლებით და სიგელებით.**

**როინ გახოკიძე იყო სამამულო ომის გმირის მიხეილ გახოკიძის ერთადერთი შვილი და მან, როგორც გვარის ღირსეულმა წარმომადგენელმა შექმნა უაღრესად ლამაზი და თბილი ოჯახი, ჰყავს ორი ვაჟი, ცნობილი ახალგაზრდები და ორი შვილიშვილი, რომლებიც ასევე ლამაზად გააგრძელებენ ცხოვრებასა და შრომას ჩვენი ქვეყნის სასახელოდ.**

**მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულში.**

**თანაკლასელები**

---

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 62 წლის. მამაჩემი 37 წელში გადაასახლეს და დახვრიტეს, მე მასთან ერთად გადასახლებაში არ ვყოფილვარ, მზრდიდა მამიდა. სიკვდილის შემდეგ მამა რეაბილიტირებულია. მეუბნებიან, მისი დაღუპვის გამო პენსია გეკუთვნისო, მაგრამ არა ვარ გარკვეული, ვის მივმართო ამ საკითხზე. პენსიას ამჟამად 38 ლარის ოდენობით ვიღებ. ვცხოვრობ ჩოხატაურის რაიონში. გთხოვთ, გამარკვიოთ, შეიძლება ერთდროულად ორი პენსია მივიღო?**

**ლანა ლეკიშვილი**

**პასუხი:** თქვენთვის საინტერესო საკითხზე, გირჩევთ დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც სათანადო საბუთების წარდგენის შემთხვევაში მოგიხსნით პენსიას, რომელსაც ამჟამად იღებთ და დაგინიშნავთ პენსიას მამის დაღუპვის გამო – თვეში 45 ლარის ოდენობით. აღნიშნული პენსიის დანიშვნის შემდეგ ისარგებლებთ გარკვეული შეღავათით ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალური მომსახურების გადასახადების დასაფარავად (რაც, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან გამოიხატება პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის სახით ყოველთვიურად 7 ლარის მიცემაშიძ. ორი პენსიის ერთდროულად მიღება კანონით დაუშვებელია.



* * *

**კითხვა: მიმდინარე წლის 4 აპრილს ვხდები 60 წლის, ვმუშაობ. მეუბნებიან, პენსია გეკუთვნისო, მაგრამ არ ვარ გარკვეული, მომეცემა თუ არა იგი მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ.**

**ეკატერინე რჩეულიშვილი**

**პასუხი:** შეკითხვაში არ მიუთითებთ სახელმწიფო სამსახურში მუშაობთ, თუ კერძო სტრუქტურაში. ამიტომ ჩვენი პასუხიც ზოგადი იქნება. თუ დაწესებულება, სადაც მუშაობთ, არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოიპოვებთ 60 წლის შესრულების შემდეგ ასაკის პენსიის მიღების უფლებას, რომელიც მოგეცემათ მუშაობის გაგრძელების პერიოდშიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, განმიმარტეთ, კანონის თანახმად, რა იგულისხმება ზარალის ცნებაში?**

**თემურ მირელაშვილი**

**პასუხი:** ზარალში იგულისხმება ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ გაწეული გაუთვალისწინებელი ხარჯები, მისი კუთვნილი ქონების დაკარგვა ან დაზიანება, ასევე მიუღებელი შემოსავლები, რომელსაც იგი მიიღებდა ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში – მეორე მხარის მიერ.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, დასაშვებია , თუ არა კანონით დადებული ხელშეკრულების შეცვლა ან მასში პუნქტების დამატება?**

**ნანა ქარჩავა**

**პასუხი:** კანონის თანახმად, ხელშეკრულების შეცვლა ან მასში პუნქტების დამატება დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი თანხმობით.

* * *

**კითხვა: ვინაიდან ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, გთხოვთ, განგვიმარტოთ, სამართლის რომელი დარგით რეგულირდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაქირავებული მუშაკების უფლება-მოვალეობები?**

**კაკო შერაძე**

**პასუხი:** საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაქირავებული მუშაკების უფლებები, მოვალეობები, ურთიერთობა ადმინისტრაციასა და პერსონალს შორის, რეგულირდება საქართველოს შრომის კანონმდებლობით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

---



**მეუღლე მერი გიგიაძე, შვილები სოსო, რუსუდანი, შვილიშვილი დავით ჩაჩანიძე, ძმისწულები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით, ცოლისძმა გიული გიგიაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**სტანისლავ რაფიელის ძე თოფურია**

**პანაშვიდი 14 III, 17 სთ. მისამართი: მელიქიშვილის 19. გამოსვენება 15 III, 14 სთ. კუკიის სასაფლაოს ეკლესიიდან.**

---

**„კარდიოლოგიური კლინიკის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გიორგი ლევანის ძე კიკნაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი ექიმი, ჰორმონული დაიგნოსტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი**

**ნუნუ ტაბატაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

№ 47. ოთხშაბათი, 14 მარტი, 2007 წელი.

● სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საქართველოში წამების პრევენციის საკითხებზე კონფერენცია გაიმართა



◉ რიკულებს მიღმა

# წამების პრევენცია

**სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საქართველოში წამების პრევენციის საკითხებზე კონფერენცია გაიმართა, რომლის ორგანიზატორები საერთაშორისო ორგანიზაციები: „ციხის საერთაშორისო რეფორმა,“ „ფედერაციის გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ და ჟენევაში არსებული „წამების პრევენციის ასოციაცია იყო“.**

კონფერენცია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის — „წამების პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა. მას რამდენიმე ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ესწრებოდნენ.





გაიმართა დისკუსია საქართველოში წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოდელის პროექტის გამო. ასევე იმსჯელეს საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში, პოლიციის, პატიმრობის, ფსიქიატრიული დაავადებებისა და სამხედრო თავდაცვის შესახებ კანონებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტის თაობაზეც.

სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ წამების წინააღმდეგ მიმართული გაეროს კონვენციის რატიფიცირება 2005 წელს მოხდა.

— თუ როგორ იქმნება ეს მექანიზმი, ამას მომავალი გვიჩვენებს. ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ ამ მექანიზმის განსახორციელებლად ომბუდსმენის ინსტიტუტი აირჩია, — აღნიშნა სუბარმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი — „წამების პრევენცია საქართველოში“ — მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის განხორციელებას საქართველოში.

ოქმი ითვალისწინებს წამების და სხვა სასტიკი არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ზომების გაძლიერებას და ინსტიტუციონალიზებას.

პროექტი სახალხო დამცველთან თანამშრომლობით განხორციელდება. იგი დაეხმარება დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, რომლებიც მონიტორინგს განახორციელებენ ციხეში, პოლიციის წინასწარი დაკავების საკნებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სამხედრო დისციპლინარული დაკავების ადგილებში, საბავშვო დაწესებულებებში.

პროექტის ფარგლებში, აგრეთვე, განხორციელდება თანამშრომლობა გაეროსთან და საქართველოს ხელისუფლებასთან, რათა აღმოიფხვრას კანონმდებლობაში, კანონქვემდებარე აქტებსა და პრაქტიკაში არსებული ის ხარვეზები, რომლებიც საქართველოში ადამიანთა წამებას იწვევს.

პროექტი სამწლიანია და მის განსახორციელებლად 700 ათას ლარზე მეტი გამოიყოფა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

# პირველი პრეზიდენტის ნეშტი როსტოვშია

**ზვიად გამსახურდიას ნეშტის გადმოსვენების მიზნით შექმნილი სპეციალური ჯგუფის როსტოვში გამგზავრების დრო ჯერ კიდევ უცნობია.**

იუსტიციის სამინისტროში ამბობენ, რომ მათი ინფორმაციით, ჯგუფის წევრებისთვის ვიზების გაცემის საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

ვიზების თაობაზე მოლაპარაკებას რუსულ მხარესთან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აწარმოებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხი საქართველოში არსებული საკონსულოსთვის უნდა ეცნობებინა და, შესაბამისად, ვიზების გაცემაც უზრუნველეყო, თუმცა, საკითხი ჯერაც მოუგვარებელია.

იუსტიციის სამინისტრო გამგზავრების საორგანიზაციო საკითხებში არ მონაწილეობს, თუმცა ჯგუფში მისი ექსპერტები შედიან.

ჯგუფის წევრის ეკა ხერხეულიძის ინფორმაციით, გამსახურდიას ნეშტი უკვე გადასვენებულია როსტოვში და პირველადი ექსპერტიზაც ჩატარებული აქვს, თუმცა ამ ექსპერტიზის შედეგები ჯერ უცნობია.

ნეშტის გროზნოდან როსტოვში გადასვენებასა და ექსპერტიზის საკითხების მოგვარებას გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ლარის კურსი

**14 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2942 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7080 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,2450 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 | ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9712 | ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4850 | ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3961 | ლარი. |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

◉ ანეკდოტები

ოლიგარქები საოცრად საზრიანი მხეცუნები არიან. საკმარისია მხოლოდ ერთი მათგანის დაპატიმრება, რომ დანარჩენები მაშინვე ალერსიანები და დამჯერნი ხდებიან. უფრო მეტიც — სოროებიდან თავიანთი რეზერვებიც გამოაქვთ და პატრონთან მიარბენინებენ.



* * *

— გამოასწორე ორიანი? — ეკითხება მამა მიხოს.

— კი.

— აბა, მაჩვენე დღიური!

— აჰა!

— შე ყურუმსაღო, ასე ვინ ასწორებს, მომეცი დღიური!

* * *

ტიპი უდაბნოში დაიკარგა, დაიღალა, ქანცი გაუწყდა, ძლივს მიხოხავს. უცებ დოქი დაინახა. წყალს მაინც დავლევო, გაუხარდა. გახსნა. იქიდან კი ჯინი ამოძვრა.

— რას ისურვებ, ჩემო მბრძანებელო?

— სახლში მინდა!

— კარგი, წავედით, — ხელი ჩაავლო ჯინმა.

— უფრო სწრაფად მინდა.

— კარგი, მაშინ გავიქცეთ!

* * *

ორი ესტრადის მომღერალი ქალი ერთმანეთს შეხვდა.

— იცი, სოციოლოგიური გამოკითხვების და სტატისტიკური გამოკვლევების თანახმად, ამ ბოლო ხანს, მას მერე, რაც ჩემი ახალი კლიპი გამოვიდა, ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ტელევიზორების გაყიდვის მაჩვენებელი.

— რა გასაკვირია, საყვარელო, მეც გავყიდე ჩემი ტელევიზორი.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.

შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.